ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

ანი ჯოლბორდი

გენდერული სოციალიზაცია განათლების კონტქსტში: სასწავლო სახელმძღვანელოებისა და მასწავლებლების გავლენის შესწავლა

სოციოლოგია

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სოციოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლელა გაფრინდაშვილი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, სოციალ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

თბილისი, 2019

აბსტრაქტი

გენდერული სოციალიზაცია განათლების კონტქსტში: სასწავლო სახელმძღვანელოებისა და მასწავლებლების გავლენის შესწავლა

სამაგისტრო ნაშრომი ეხება სასკოლო გარემოში მოსწავლის გენდერულ სოციალიზაციაზე მოქმედი ფაქტორების შესწავლას. ნაშრომი იკვლევს მოსწავლეების მიერ გენდერული ტენდენციებისა და გენდერული სტერეოტიპების ათვისების პრეცესზე, მასწავლებლების და სასწავლო სახემძღვანელოების გავლენას.

ნაშრომში წარმოდგენილია ორი კვლევა, პირველი კვლევა ჩატარდა საქართველოს, ქართულენოვან საჯარო სკოლაში, საბაზო და საშუალო კლასების პედაგოგებთან, თვისებრივი კვლევის მეთოდის ტექნიკის, სიღრმისეული ინტერვიუს გამოყენებით. კვლევა სწავლობს: პედაგოგების დამოკიდებულებებსა და ქცევით სტრატეგისებს გოგონებისა და ბიჭების მიმართ; მასწავლებლების მიერ გამოვლენილი გენდერული განწყობების ტრანსლირებას მოსწავლეებში; გენდერული სოციალიზაციის პროცესში გენდერული ტენდენციების ათვისების საკითხებს, რომელთა საფუძველსაც კულტურული ნორმები წარმოადგენს; პედაგოგთა როლს დიფერენცირებული გენდერული სოციალიზაციის პროცესში.

კვლევამ გამოავლინა რომ: პედაგოგთა წარმოდგენით ბიჭები და გოგონები განსხვავდებიან ერთმანეთისგან: ფიზიკური მონაცემით, თვისებებით, ქცევებით, ნიჭით, უნარებით; მასწავლებლებს აქვთ ჩამომოყალიბებული შეხედულებები მოსწავლე ბიჭის და მოსწავლე გოგოს გენდერულ როლთან შესაფერისი მახასიათებლების შესახებ; სხვადასხვა გზებით ცდილობენ წინააღმდეგობა გაუწიონ მოსწავლეებს, რომლების გენდერულ როლთან სტერეოტიპულად არაშესატყვის მახასიათებლების ავლენენ; პედაგოგები აქტიურად უზიარებენ მოსწავლეებს სტერეოტიპულ შეხედულებებს ქალისა და მამაკაცის როლების; ამგვარად კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებლები ხელს უწყობენ დიფერენცირებულ გენდერულ სოციალიზაციას.

მეორე კვლევა მოიცავს საბაზო და საშუალო საფეხურის, სამოქალაქო განათლების სასწავლო სახემძღვანელოების გენდერულ ანალიზს. კვლევა სწავლობს ილუსტაციებსა და ტექსტებში: არის თუ არა განსხვავება სქესთა რეპრეზენტაციისას; ქალისა და მამაკაცის საქმიანობების და გენდერული როლების წარმოჩენის დროს; ასევე სახელმძღვანელოების ავტორთა გენდერული ბალანს; უზრუნველჰყოფს თუ არა სახელმძღვანელოები გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით თეორიული ცოდნის მიწოდებას მოსწავლეებისათვის.

სამოქალაქო განათლების სახელძღვანელოებში მოცემული ილუსტაციების გენდერულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ: ილუსტაციების შედგენისას გათვალისწინებული არ არის გენდერული თანასწორობის საკითხები. პროფესიებისა და საქმიანობების რეპრეზენტაციისას, ქალები და მამაკაცები წარმოდგენილნი არიან, სტერეოტიპულად, მათი სქესისთვის შესაფერის როლებში; სახელმძღვანელოები არ ახდენს წარმატებული ქალების ისტორიების გაზიარებას მოსწავლეებისთვის, მაშინ როდესაც აქტიურად ხდება წარმატებული მამაკაცების ისტორიების გაზიარება; აღნიშული სახემძღვანელოები არ იძლევა ცოდნა გენდერული თანასწორობის საკითხებზე.

საკვანძო სიტვები და ფრაზები : გენდერი; გენდერული სოციალიზაცია; გენდერული როლები; დიფერენცირებული გენდერული სოციალიზაცია; გენდერული სეგრეგაცია; გენდერი განათლების განზომილებაში; გენდერული პედაგოგიკა; სოცილიაზაცია; გენდერული იდენტობა ; სტერეოტიპები; გენდერული სქემა; გენდერული ფილტრი;

Abstract

Gender socialization in the context of education: learning unfluence of school books and theachers

The master's thesis studies the factors that affect the student's gender socialization in the school environment. The master's thesis researches influence of teachers and teaching books on the gender trends and gender stereotypes learning process by the students.

The study presents two research: The first survey was conducted in Georgia, the Georgian public school, with teachers who teach basic and middle classes, using qualitative research method techniques, depth interviews. Research studies: Attitudes and behaviors of teachers towards girls and boys; Transmitted gender attitudes from teachers to pupils; Issues of get use gender trends in the process of gender socialization, which are the basis of cultural norms; Role of teachers in the process of differentiated gender socialization.

The study showed that teachers think that: boys and girls differ from each other by the teacher: by physical data, qualities, behaviors, talents and skills; teachers have a set of positions about only boys or only girls relevant characteristics; Teachers try to resist students who inappropriate characteristics with a gender role; Teachers actively share their pupils stereotypical views of the roles of men and women; The survey found that teachers contribute to the differential gender socialization.

The second study includes gender analysis of the basic and middle level civic education books. The study studies in the illustrations and texts, Is there any difference in sex representation: The performance of women's and men's activities and gender roles; Does the textbook provide theoretical knowledge for students about gender issues;

The gender analysis of the illustrations in civil education books, has shown that: Issues of gender equality are not considered in drawing up illustrations; In the representation of professions and activities, women and men are presented as stereotypes in the role of matching their sex; Civil education books, do not share with the students of women's stories, but actively

sharing successful men's stories; Civil education books do not provide knowledge on gender equality issues.

Keyword lists and phrases: gender; Gender socialization; Gender roles; Differentiated gender socialization; Gender segregation; Gender in the dimension of education; Gender pedagogy; Socialization; Gender identity; Stereotypes; Gender scheme; Gender filter;

სარჩევი

აბსტრაქტი 2
შესავალი 8
რას ეხება თემა 8
საკვლევი თემის აქტუალობა 9
სამაგისტრო ნაშრომის მიზანი 10
კვლევითი ამოცანები 10
მეთოდოლოგია 11

1. თავი, გენდერთან, გენდერულ სოციალიზაციასთან და განათლებასთან დაკავშირებული, ცნებების და კონცეფციების განხილვა 12
1.1. გენდერის ცნება 12
1.2. გენდერის სოციოლოგია 13
1.3. გენდერულო თეორია 13
1.4. გენდერული სოციალიზაცია 14
1.5. გენდერული სტერეოტიპიზაცია ბავშვობასა და მოზარდობაში 14
1.6. გენდერული იდენტობა 15
1.7. გენდერული პედაგოგიკა 16
1.8. გენდერის განზომილება განათლების სფეროში 18

2. თავი, თეორიული ჩარჩო 19
2.1. სოციალიზაცია და თვითობა 19
2.1.1. „სარკისებური მე“ 19
2.1.2. მიდი” I” და “ME” 20
2.1.3. კოგნიტური განვითარების თეორია 21
2.2. სოციალური დასწავლის თეორია 21
2.3. გენდერული სქემის თეორია 22
2.4. სოციალური როლების თეორია 24

3. თავი, ემპირიული კვლევა N1: მასწავლებლები, როგორც გენდერული სოციალიზაციის აგენტები, გენდერული განწყობები და ქცევითი სტრატეგიები 25
3.1. შესავალი 25
3.2. კვლევის მიზანი 27
3.3. კვლევის ამოცანები 27
3.4. კვლევის მეთოდი 28
3.5. ჰიპოთეზები 29
3.6. სიღრმისეული ინტერვიუს კითხვარის სტუქტურა 30
3.7. კვლევის შედეგების განხილვა 31
3.7.1. ცოდნა და ინფორმირებულობა 31
3.7.2. მასწავლებელთა წარმოდგენები იდეალური ქალი და იდეალური მამაკაცი პედაგოგების შესახებ 32
3.7.3. სასკოლო საგნების სეგრეგაცია მასწავლებელთა სქესის მიხედვით 33

3.7.4. მასწავლებელთა წარმოდგენები იდეალური გოგონებისა და იდეალური ბიჭებისთვის შესაფერისი მახასიათებლების შესახებ 34
3.7.5. მასწავლებელთა წარმოდგენები გოგონებისა და ბიჭებისთვის შესაფერისი მახასიათებლების შესახებ: შექება; ხელის შეწყობა; კრიტიკა; მიმღებლობა 35
3.7.6. მოსწავლეთაშორისი კონფლიქტები 38
3.7.7. აკადემიური მოსწრების, სასწავლო უნარების და ნიჭიერების შეფასება..... 40
3.7.8. სასკოლო დისციპლინები, სპეციალობების სეგრეგაცია 41

4. თავი, ემპირიული კვლევა N2: სასკოლო სახემძღვანელობის შესწავლა გენდერულ ჭრილში 42
4.1. შესავალი 42
4.2. თეორიები და ლიტერატურა 42
4.3. კვლევის მიზანი 44
4.4. კვლევის ამოცანები 44
4.5. საკვლევი ჰიპოთეზა 45
4.6. კვლევის მეთოდი 45
4.7. კვლევის შედეგების განხილვა 46
4.7.1. სქესთა რეპრეზენტაცია სახელმძღვანელოს ილუსტრაციებში: ქალისა და მამაკაცის საქმიანობა და გენდერული როლები. 46
4.7.2. სახელმძღვანელოებში წარმოდგენილი ცნობილი ადამიანები 47
4.7.3. თეორიული ინფორმაცია გენდერული თანასწორობის საკითხებზე 47

დასკვნა 49
გამოყენებული ლიტერატურა 52

შესავალი

რას ეხება თემა

მეცნიერთა მტკიცებით გენდერული იდენტობის ჩამოყალიბება ადრეული ბავშობიდან იწყება, ლორა ბერკის მიხედვით თვრამეტი თვიდან ბავშვს, საკუთარი და სხვების კლასიფიკაციის უნარი უვითარდებათ, სამი წლიდან კი უჩნდებათ ასოციაციები ესა თუ ის კონკრეტული მახასითებელი სტერეოტიპულად რომელი სქესისთვის არის შესაფერისი (ბერკი, 2002). ნანა ბერეკაშვილის მიხედვით შუა ასაკიდან პიროვნული მახასიათებლების სტერეოტიპიზაცია იზრდება, „სოციალური გარემოცვის აზრი კი საყრდენი ხდება გენდერული იდენტობის აგების პროცესში და ამდენად განსაკუთრებით აქტიურად იკვეთება ე.წ. გენდერული სოციალიზაციის აგენტების როლი“ (ბერეკაშვილი, 2012, გვ. 3).

პრეპუბერტულ და პუბერტულ ასაკში ინდივიდი, დროს უმეტეს ნაწილს სკოლაში ატარებს. სასკოლო გარემოში მოსწავლის გენდერული იდენტობის ჩამოყალიბებაზე გავლენას შემდეგი ფაქტორები ახდენს: მასწავლებლები, სასკოლო ინფრასტრუქტურა, სასწავლო სახემძღვანელოები, თანატოლები, სკოლის ადმინისტრაცია და სხვა.

აღნიშნული ნაშრომი ახდენს სასკოლო გარემოში მოსწავლის გენდერულ სოციალიზაციაზე მოქმედი ორი ფაქტორის: მასწავლებლების და სასწავლო სახემძღვანელოების გავლენის შესწავლას.

ნაშრომის პირველ და მეორე თავში მოცემულია გენდერულ სოციალიზაციასთან და განათლების სფეროში, გენდერის განზომილებასთან დაკავშირებული კონცეფციების, ცნებების და თეორიების განხილვა. პირველი კვლევა, რომელიც განხილულია ნაშრომის მესამე თავში, შეისწავლის საბაზო და საშუალო კლასების მასწავლებლების, როგორც გენდერული სოციალიზაციის აგენტების, დამოკიდებულებებსა და ქცევით სტრატეგიებს. სახელმძღვანელოების გენდერული ანალიზი, კონკრეტულად კი საბაზო და საშუალო კლასების, სამოქალაქო განათლების სახემძღვანელობის გენდერული ანალიზი მოცებულია ნაშრომის მეოთხე თავში.

საკვლევი თემის აქტუალობა

თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი პრინციპი არის გენდერული თანასწორობის დამკვიდრებაზე ზრუნვა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, განათლების სფერო მათ შორის უმთავრესია, აღნიშნული მოსაზრება შეესაბამება, EFA-ს და ათასწლეულის გამოწვევის MDGs-ის მიზნებს. საქართველოს მთავრობამ თავის თავზე აიღო, აღნიშნული მოძრაობების მიზნების შესრულება საკუთარ ქვეყანაში, 2010 წელს კი მიიღო კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“, რაც გულისხმობს სქესის ნიშნით თანასწორობას ყველა სფეროში, მათ შორის განათლებაში. თუნცა მანამდე 2006 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „გენდერული თანასწორობის კონვენცია“ რომლის მიხედვითაც საგანმანათლებლო სისტემაში უნდა გატარებულიყო მნიშვნელოვანი ღონისძიებები, რაც გულისხმობდა როგორც საგანმანათელბლო სფეროში დასაქმებულ პირთა ცნობიერების ამაღლებაზე ზრუნვას გენდერული თანასწორობის საკითხებისადმი და მათში გენდერული მგრძნობელობის განვითარების ხელშეწყობას, ასევე სახელმძღვანელობის გენდერული ანალიზე კვლევების ჩატარებას.

განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში, მასწავლებლების და სკოლის სახელმძღვანლოების, როგორც გენდერულ სოციალიზაციაზე გავლენის მქონე ფაქტორების შესახებ ინტენსიური კვლევები წარმოებს, ქართულ სინამდვილეში აღნიშნულ საკითხი მეტწილად შეუსწავლელია.

სახელმძღვანელოების გენდერული ანალიზი საქართველოში 2012-2015 წელებში ჩატარდა, მას შემდგომ კი სახელმძღვანელოები არაერთხელ შეიცვალა. 2012-2015 წლებში ჩატარებულმა კვლევის შედგებმა ცხადოყო, რომ სახელმძღვანელოები ძლიერი გენდერული სტერეოტიპების შემცველია. გამომდინარე აქედან რელევანტურად მივიჩნიეთ აღნიშნულ საკითხებზე კვლევების გაგრძელება, სახემძღვანელოების გენდერული ანალიზი პრობლემის დანახვის საშუალებას მისცემს: მასწავლებლებსა და მოსწავლეებს; მშობლებს; მოქალაქეებს; და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია განათლების სფეროში გადამწყვეტილების მიმღებ პირებს.

ნაშრომი გვთავაზობს მონაცემებს: საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში, კერძოდ კი სასკოლო გარემოში, მასწავლებლების გენდერულად შეფერილი ქცევების, განწყობების და სტერეოტიპების შესახებ სხვადასხვა სქესის მოსწავლეთა მიმართ; სასწავლო სახემძღვანელოებში არსებული გენდერული სტერეოტიპების, სქესთა ბალანსისა და გენდერულ საკითხებზე ინფორმაციის მიწოდების შესახებ.

სამაგისტრო ნაშრომის მიზანი

სამაგისტრო ნასშრომის მიზანია განათლების მიღების პროცესში ბავშვის გენდერულ სოციალიზაციაზე მოქმედი ფაქტორების შეისწავლა, კონკრეტულად კი სწავლობს პედაგოგების და სასკოლო სახემძღვანელოების გავლენას; ნაშრომი ფოკუსირებულია პედაგოგების გენდერული განწყობების, ფემინური და მასკულინური მახასიათებელების, ქცევისა და როლების შესახებ შეხედულებების შესწავლაზე. გამოიკვეთოს, მათი გენდერული განწყობები და დადგინდეს მასწავლებლები მოსწავლეებს, რა გენდერული მახასიათებლების განვითარებისაკენ უბიძგებენ; ასევე სწავლობს სასკოლო სახელმძღვანელოებს გენდერული თანასწორობის კუთხით;

კვლევითი ამოცანები

- გენდერულ სოციალიზაციასთან და განათლების კონტექსტში გენდერის განზომილებასთან დაკავშრებული ცნებითი აპატარის დაზუსტრება და ძირითადი თეორიული მიდგომების განხილვა;
- საკითხზე არსებული ლიტერატურისა და კვლევების მიმოხილვა;
- მასწავლებლების მიერ გენდერული მახასიათებლების განმტკიცების ტენდენციების შესწავლა;
- სკოლის სახელმძღვანელოების, როგორც გენდერული სტერეოტიპების გამტარებლების შესწავლა;

მეთოდოლოგია

კვლევის ჩასატარებლად შევარჩიეთ თვისებრივი კვლევის მეთოდის ტექნიკები: სიღრმისეული ინტერვიუ და დეკუმენტების ანალიზი. ქართულ რეალობაში მასწავლებელთა გენდერული განწყობები, მხოლოდ რაოდენობრივი კვლევის მეთოდის გამოყენებით არის შესწავლილი, თვისებრივმა კვლევამ, კონკრეტულად კი ჩაღრმავებულმა ინტერვიუმ მასწავლებელთა გენდერული განწყობებისა და ქცევითი სტატეგიების სიღრმისეული ანალიზის საშუალება მოგვცა. სასწავლო სახელმძღვანელოების შესასწავლად კი გამოყენებულ იქნა დოკუმენტების რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზი .

1. თავი

გენდერთან, გენდერულ სოციალიზაციასთან და განათლებასთან დაკავშირებული, ცნებების და კონცეფციების განხილვა

1.1. გენდერის ცნება

ტერმინ „გენდერის“ გამოყენება აქტუალური გახდა 70-იანი წლებიდან, როდესაც დაიწყო ფემინისტური ლიტერატურის ბეჭვდვა. ერთ-ერთი პირველი ვინც საუბარი დაიწყო გენდერის და სქესის განსხვავებაზე იყო ფსიქოლოგი რობერტ სტოლერი (Robert Stolen, 1968). ადრეულ ფემინისტურ ლიტერატურაში, ავტორები გენდერს და სქესს განიხილავდნენ, როგორც ურთიერთშემავსებელს, სტორელენი მიიჩნევს, რომ ურთიერთშემავსებლობის ფაქტს ეჭქვეშ აყენებს ტრანსექსუალობის ფენომენი, როდესაც „გენდერი და სქესი ერთმანეთს არ ემთხვევა“, რაც სტოლენმა ახსნა, როგორც ზოგიერთი ადამიანსი ცხოვრება, „მცდარ სხეულში“(Robert Stolen, 1968).

გეილ რუბინი ერთ-ერთი პირველი იყო ვინც გამოიყენა ფრაზა „გენდერის სისტემა“ და განსაზღვრა, როგორც „შეთანხმებათა კომპლექსი, რომელიც როგორც საზოგადოების მოღვაწეობის საგანი, არეგულირებს ბიოლოგიურ სქესს“ (Rubin 1975, pp. 165). სქესი, როგორც ბიოლოგიური განსხვავება ფიქსირებულია, ხოლო გენდერული განსხვავებები შედეგია სოციალური ინტერვენციის, რომელიც კარნახობს თითოეულ სქესს თუ რა არის ან არ არის მისი სქესისთვის შესაფერისი. რუბინი საუბრობს, რომ „გენდერის სისტემა“ ფოკუსირებულია ქალთა ჩაგვრაზე, სოციალური და პოლიტიკური რეფორმების შედეგი კი არის ქალთა დაქვემდებარება. რუბინი ამბობს რომ ფემინიზმის მიზანი არის ისეთი საზოგადოების შექმნა, სადაც სქესი არ განსაზღვარვს „ვინ არის, რას საქმიანობს ან ვისთან შეუძლია ჰქონდეს სასიყვარულო ურთიერთობა კონკრეტულ პიროვნებას“ (Rubin 1975, p.204)

მეოცე საუკუნის ბოლოსკენ უფრო მეტი ავტორი წერდა, რომ გენდერი სოციალურადაა განსაზღვრული. ლინდა ნიკოლსონის წერს „გენდერი არის სქესის სოციალური ინტერპრეტაცია“ (Nicolson, 1994, p.81) ასევე სალი ჰესლენჯერის მიხედვით

„გენდერი არის სოციალური პრაქტიკების განსაზღვრული ან განუსაზღვრელი შედეგი“ (Haslanger 1995, p.97). თანამედროვე სამყაროში მიიჩნევა, რომ გენდერი არის სქესის სოციალური ფენომენი და სოციალურადაა კონსტრურირებული.

1.2. გენდერის სოციოლოგია

აღნიშნულ ნაშრომს გენდერის სოციოლოგიის კონცეპტუალურ ველში მოვისაზრებთ. გენდერის სოციოლოგია შეიძლება განვიხილო, როგორც სოციოლოგიის ქვედარგი, რომელიც განიხილავს გენდერს როგორც სოციალურად კონსტრურირებულს, შეისწავლის გენდერის მიმართებას/ურთიერთმიმართებას, სხვა სოციალურ ფაქტორებთან/ფენომენებთა და კავშირს სოციალურ სტრუქტურებთან.

1.3. გენდერული თეორია

გენდერულ თეორიას საფუძველი მე-20 საუკუნი 1970-1980-იან წლებში ჩაეყარა, მეტწილად ამერიკასა და დიდ ბრიტანეთში და დასაწყიშივე გულისხმობდა ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობას ცხოვრების ყველა სფეროში. გენდერულმა თეორიამ შეცვალა არსებული წარმოდგენები ქალურობასთან და მამაკაცურობასთან დაკავშირებით, რაც მანამდე არსებული წარმოდგენებით სრულიად მომდინარეობდა ბიოლოგიური მდგომარეობიდან.

მარგარეტ მიდი ერთ-ერთი პირველი იყო ვინც სწავლობდა გენდერულ როლებსა და გენდერულ სტერეოტიპებს განსხვავებულ კულტურებში, ქალისა და მამაკაცის პიროვნების ჩამოყალიბების პროცესს. აღსანიშნავია სიმოდენ დე ბოუარი, რომელიც თავის ცნობილ წიგნში „მეორე სქესი“ განმარტავს, რომ „ქალად კი არ იბადებიან არამედ ქალად ყალიბდებიან“.

ბევრი ავტორი მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში არსებულ გენდერულ თეორიას, თანამედროვე გენდერული თეორიის ისტორიულ კონტექსტში განიხილავს. თანამდეროვე გენდერული თეორია ცდილობს შეცვალოს ინდივიდების წარმოდგენები

გენდერული განსხვავებების შესახებ. წარმოდგენები - ქალისა და მამაკაცის განსხვავებული შესაძლებლობებს შესახებ, მამრობითი სქესის უპირატესად მიჩნევა მდედრობითთან შედარებით - სინამდვილეში სოციალური ნორმებიდან მომდინარეობს, რომლის წარმოებასა/კვლავწარმოებას ინდივიდუალური და ინსტიტუციონალური დონეები უზრუნველჰყოფს. თანამდერივე გენდერული თეორია გენდერს განიხილავს ბიოლოგიური დეტერმინანტებისგან თავისუფალს.

1.4. გენდერული სოციალიზაცია

გენდერული სოციალიზაცია აღნიშნავს პროცესს, რომლის დროსაც ბავშვებს უყალიბდებათ წარმოდგენები გენდერული როლების შესახებ, რომლებიც ასოცირებულია, ერთ კონკრეტულ გენდერულ ჯგუფთან.

ამერიკელი ფემინისტი მწერლის, ქეით მილეთის მიხედვით გენდერული განსხვავებები კულტურიდან მომდინარეობს, რომელიც ყალიბდება აღზრდის შედეგად, გენდერული არის მთლიანი ჯამი: მშობლების; თანატოლების; კულტურული ცნებების; რომლებიც ინდივიდში შემოდის და კარნახობს თითოეულ სქესს, რა არის შესაფერისი მათთვის. მილეთი წერს, რომ გენდერული ნორმების არსებობა პრობლემატურია, რადგან გენდერულად შეფერილი ქცევები აძლიერებს ქალთა დაქვემდებარებულ მდგომარეობას და ისინი სოციალიზდებიან პასიურ სოციალურ როლებში (Millett, 2016).

1.5. გენდერული სტერეოტიპიზაცია ბავშვობასა და მოზარდობაში

გენდერული სტერეოტიპები საზოგადოებაში დამკვიდრებული შეხედულებებია, იმ მახასიათებლების შესახებ, რომლებიც მიიჩნევა ქალის ან მამაკაცის შესატყვისად.

გენდერული სტერეოტიპიზაცია გულისხმობს გარემოში არსებულ გენდერულ სტერეოტიპების სოციალიზაციის გზით შეთვისების პროცესს, რომლის შედეგიცაა გენდერულად მეტად ან ნაკლებად ტიპირებული ინდივიდის ჩამოყალიბება.

გენდერული სტერეოტიპიზაცია ადრეული ბავშვობიდან იწყება, "სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის სათამაშოები, თამაშები, ტანსაცმელი, საოჯახო ნივთები, პროფესიები,

ჰობი, ფერები, ერთ ან მეორე სქესთან ასოცირდება” (Ruble& Martin, 1998). სკოლამდელი ბავშვები გენდერულად სტერეოტიპული შეხედულებები მყარი და უცვლელია, ხოლო მათი დამოკიდებულებები „გენდერული გადახრების“ მიმართ, აგრესული და რადიკალური. ლორა ბერკს მოჰყავს ასეთი მაგალითი „4 წლის ბავშვებს უჩვენებდნენ გუდასტვირზე დამკვრელ შოტლანდიელ მამაკაცს, რომელსაც კილტი ეცვა, ბავშვები ამბობდნენ „კაცს არ უნდა ეცვას ქვედაკაბა““(ბერკი, 2010, გვ.693.).

შუა ბავშვობის პერიოდიდან ბავშვები უფრო მეტ ცოდნას იძენენ, მათ გარშემო გავრცელებულ გენდერულ სტერეოტიპებზე, თუმცა მეტად კვეთენ „გენდერულ საზღვრებს“. მიიჩნევა, რომ ამ პერიოდში შეხედულებები ქალის და მამაკაცის როლების შესახებ უფრო „მოქნილი“ ხდება (ბერკი, 2010). თუმცა სტერეოტიპული დამოკიდებულებები არ იცვლება.

მოზადობის ასაკში იმატებს ბავშვებს შორის კონკურენცია, აქტიურად ხდება ნიჭისა და უნარების სტერეოტიპიზაცია, შესაბამისი საგნები თუ სფეროები, მიიჩნევა ერთი ან მეორე სქესისთვის შესაფერისად. თანდათანობით გოგონების თვითშეფასება იკლებს, მაშინ როდესაც ბიჭების თვითშეფასება იზრდება (Stetsenko, 2000).

1.6. გენდერული იდენტობა

ცნების განსაზღვრა. გენდერული იდენტურობა გულისხმობს საკუთარი თავის აღქმას მეტ-ნაკლებად მასკულინური ან ფემინური თვისებების/ხასიათიდ მატარებლად. ამერიკელი ფსიქოლოგი კენეტ ზუკერი სხვა ავტორებთან ერთად, გენდერულ იდენტობას განსაზღვრავენ ინდივიდის მიერ იმის აღქმას, რომ არ მიეკუთვნებიან მეორე, საპირისპირო სქესს (Zuker et al. 1999).

ტერმინის ზუსტი და მკაფიო განსაზღვრებაზე მკვლევარები დაობენ, თუმცა თანხმდებიან, რომ გენდერული იდენტობა დაკავშირებული ინდივიდის შინაგან მდგომარეობასთან, ამიტომ ეს არის პიროვნების განცდა მიეკუთვნებოდეს ერთ ან მეორე სქესობრივ ჯგუფს, მეტ-ნაკლებად იზიარებდეს საზოგადოებაში გავრცელებულ/დამკვიდრებულ მოსაზრებებს, ამ სქესისთვის შესაფერი მახასიათებლების შესახებ და ცდილობდეს თავისი ქცევა მიუსადაგოს ამ მოსაზრებებს.

გენდერული იდენტობის ჩამოყალიბება. ლორა ბერკი (ბერკი, 2010, გვ. 714) გვთავაზობს გენდერული იდენტობის ჩამოყალობების შემდეგ სტადიებს:

„1. **გენდერული სახელდება.** სკოლამდელ ასაკში ბავშვს შეუძლია საკუთარი და სხვათა სქესის სწორად სახელდება.

2. **გენდერული სტაბილურობა.** ამ სტადიაში ბავშვებს ნაწილობრივ გაცნობიერებული აქვთ სქესის მუდმივობა დროში.

3. **გენდერული მუდმივობა.** სკოლამდელი პერიოდის ბოლოსა და დაწყებითი სკოლის ასაკში ბავშვები იგებენ, რომ სქესს ბიოლოგიური საფუძველი აქვს და არ შეიცვლება იმის გამო, თუ ადამიანი ჩაიცვამს თავისი სქესისათვის არადამახასიათებელ ტანისამოსს (ბერკი, 2010, გვ. 714).“

გენდერული იდენტობა შეიძლება იყოს: მასკულინური, ფემინური და ანდროგენული. ანდროგენური ტიპის ბავშვებში გენდერული წარმოდგენები, მოქნილი და ცვალებადია, თუმცა მათ ხშირად საზოგადოებაში პროლემები ექმნებათ (დაცინვის ან ძალადობის ობიექტები ხდებიან), გენდერულ როლების დაუმორჩილებლობის გამო, ეს პრობლემები ყველაზე აქტიურად თავს სასკოლო გარემოში იჩენს, სადაც მოსწავლე საკუთარი დროის უმეტეს ნაწილს ატარებს.

1.7. გენდერული პედაგოგიკა

გენდერული პედაგოგიკა გულისხმობს, სასწავლო პროცესის წარმართვისას, გენდერული მგრძნობელობის გათვალისწინებას, ნანა ბერეკაშვილის მიხედვით, ამ დროს ხდება ორივე სქესის მოსწავლეების განვითარებაზე მოქმედი, საგანმანათლებლო სფეროში არსებული ფაქტორის ზემოქმედების გათვალისწინება და შესწავლა. (ბერეკაშვილი, 2012).

გენდერულად მგრძნიბიარე პედაგოგიური მიდგომა ყურადღებას ამახვილებს გოგონებისა და ბიჭების საჭიროებებზე, მოუწოდებს მასწავლებლებს გაკვეთილის დაგეგმვის პროცესში აუცილებლად გაითვალისწინონ გენდერული ასპექტები.

სწავლების ინოვაციური მეთოდების გამოყენების პროცესში მნიშვნელოვანია გენდერული ასპექტების გათვალისწინებ: როლური თამაშების, ჯგუფური დისკუსიებისა და დებატების, სასწავლო ტურებისა ან თუნდაც ლაბორატორიაში მუშაობის დროს. მაგალითად ბიოლოგიაში პრაქტიკული სამუშაოს დროს, პედაგოგმა უნდა დაარწმუნოს მოსწავლე გოგონები, რომ მათაც (ბიჭების მსგავსად) თავისუფლად შეუძლიათ შეეხნონ მწერებს ან ცხოველებს. საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპების მიხედვით გოგონებს ნაკლებად აქვთ მიდრეკილდება ქიმიური და ელექტრული ცდებისადმი, მიიჩნევა, რომ მსგავსი ცდები „საშიშია“გოგონებისთვის, ამიტომ გოგონებს, ხშირ შემთხვევაში, არ აქვთ შესაძლებლობა, ისწავლონ პრაქტიკით (Mlama,et al 2005).

მნიშვნელოვანია მასწავლებელი იყოს გენდერულად მგრძნიბიარე და ფლობდეს ინფორმაციას მსგავს საკითხებზე, უზრუნველყოს სწავლების ნებისმიერ სფეროსა თუ ეტაპზე, გოგონებისა და ბიჭების თანაბარი ჩართულობა. ხშირ შემთხვევაში მასწავლებლებმა არ იციან, რომ გაკვეთილის დროს გამოყენებული ფრაზები, რომლითაც ისინი მიმართავენ ბიჭებს და გოგონებს, აძლიერებს ნეგატიურ გენდერულ დამოკიდებულებებს (Mlama,at al,2005).

მასწავლებელები არ უნდა იყენებდნენ ერთ ან მეორე სქესთან დაკავშირებულ შეფასებით გამონათქვამებს. გოგონებსა და ბიჭებს უნდა ესაუბრებოდნენ თანაბარი ხმის ტემბრითა და ინტონაციით. გენდერულად მგრძნობიარე პედაგოგიური მიდგომა მოუწოდებს მასწავლებლებს, არ მოახდინონ: კონკრეტული მოსწავლის თვისებებისა და ქცევის განზოგადება მთელ სქესსზე; საზოგადოებაში არსებული გენდერული სტერეოტიპების დაკავშირება კონკრეტულ მოსწავლესთან .

გენდერულად მგრძნიბიარე პედაგოგიური მიდგომა, გულისხმობს ასევე სასკოლო სახემძღვანელოების იმგვარად შედგენას, რომ ისინი არ ასახავდენენ, გენდერულ სტერეოტიპებს. სასწავლო სახემძღვანელოებო და პედაგოგები, უდიდეს გავლენას ახდენენ სტერეოტიპების კვლავწარმოებაზე და ხშირად დადებითი განმტკიცებლების როლში გვევლინებიან.

1.8.გენდერის განზომილება განათლების სფეროში

ნანა ბერეკაშვილის მიხედვით განათლებაში გენდერის განზომილება გულისხმობს, შეფასებას თუ რა გავლენას ახდენეს საგანმანათლებლო პროცესი გოგონებისა და ბიჭების გენდერულ განვითარებაზე, გენდერული როლების შეთვისების პროცესზე, გენდერული იდენტობის ჩამოყალიბებაზე და ა.შ (ბერეკაშვილი,2012,15).

საგანმანათლებლო დაწესებულებები ერთ-ერთი პირველია, სადაც გოგონები და ბიჭები სოციალიზაციას გადიან. მნიშვნელოვანია კარგად შევისწავლოთ იმ ინფორმაციის შინაარსი, რომელიც მოსწავლეებს მიეწოდებათ; შევაფასოთ მიწოდების ტექნიკები და ზოგადად უწყობს თუ არა ხელს საგანმანათლებლო დაწესება გენდერულად თანასწორი გარემოს შექმნას. განათლების სფეროში ნებისმიერი ინფორმაცია მაქსიმალური სიფრთხილით უნდა მიეწოდოს მოსწავლეს.

2. თავი

თეორიული ჩარჩო

2.1. სოციალიზაცია და თვითობა

ჟან პიაჟემ, ჩარლს ჰორტონ ქულიმ და ჯონ ჰერბერტ მიდიმა, სოციალიზაციის მნიშვნელოვანი თეორიები შეიმუშავეს . აღნიშნული მეცნიერები სოციალიზაციის პროცესს განიხილავენს, სოციოლოგიური პერსპექტივიდან. მიდი და ქული „სოციალიზაციას განიხილავენ, როგორც ყველა ინდივიდისთვის საერთო პროცესს“ (Calhoun et al. 2008, pp. 205) და თითქმის არ ითვალისწინებენ სოციალიზაციის პროცესზე სხვა ფაქტორების ზემოქმედებs, როგორებიცაა: რელიგია, კულტურა, ეთნიკურობა, რასა, სოციალური იერარქია და სხვა.

2.1.1. „სარკისებური მე“

ჩარლს ჰორტონ ქულიმ (1864 – 1929) განავითარა სარკისებური „მე“- ს თეორია. ქულის მიხედვით „მე“ საზოგადოების პროდუქტია, რომელიც ინდივიდისა და სოციუმის ინტენსიური ურთიერთქმედების პროცესში ყალობდება. ადამიანები, განსაკუთრებით ბავშვები, უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ სხვა ადამიანების აზრს და მათი ქცევიდან გამომდინარე აყალობებენ წარმოდგენებს, საკუთარ თავზე, „გარშემომყოფები ასრულებენ ერთგვარი სარკის დანიშნულებას ჩვენ მიერ თვითობის შეფასებისას“ (Calhoun et al. 2008, pp.201).

„სარკისებური მე“ სამი ელემენტისგან შედგება:

1. ჩვენი წარმოსახვით, როგორ აღვიქვამენ სხვები ჩვენ;
2. ჩვენი წარმოსახვით, როგორ შეაფასებენ სხვები, იმას რასაც დაინახავენ ;
3. რას ვგრძნობთ, ჩვენ მათი შეფასებების მიმართ;

მაგალითად ერთი მოსწავლე ფიქრობს: დარწმუნებული ვარ რომ მასწავლებლები აღმიქვამენ, როგორც მომთმენ და თავშეკავებულ გოგონას; მასწავლებლები ფიქრობენ, რომ სხვა გოგოებისგან განვსხვავდებით, უფრო მომთმენი ვარ რაც ძალიან მახარებს. სხვა მოსწავლემ შესაძლოა მოთმენობა საკუთარი თავის ნაკლად ჩათვალოს. „სარკისებული მე“ არ არის სხვათა მოსაზრებებისა და შეხედულებების პირდაპირი ასახვა და მიღება (Calhoun et al. 2008), არამედ ინდივიდს აქვს ინტერპრეტაციის საშუალება.

2.1.2. მიდი” I” და “ME”

ჰერბერტ მიდი (1863-1931) სწალობდა თვითობის განვითარებას ცხოვრების ადრეული ეტაპებიდან. მიდის მიხედვით ინდივიდის თვითობა შედგება ორი ნაწილისგან სუბიექტური და ობიექტური „მე“-გან. „I“ ანუ „სუბიექტური მე“ იღებს გადაწყვეტილებებს მოქმედებების შესახებ, აფასებს მათ საკუთარი პოზიციიდან, „ობიექტური მე“ გულისხმობს ინდივიდის წარმოდგენებს, იმის შესახებ თუ როგორც აღიქვამენ სხვა ადამიანები, მის ქცევას (Mead, 1934).

გენდერული როლების ათვისების პროცესი ადრეული ბავშვობის იწყება, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ბავშვებს არ შეუძლიათ როლების შინარსის გაცნობიერება. პატარა გოგონები ხშირად ირგებენ დედის ან მასწავლებლის როლებს, ბიჭები კი მეხანძრის, მაშველის, მძღოლის და სხვა. სალივანის (Sallivan) მიხედვით ამ პერიოდში ბავშვები „მნიშვნელოვანი სხვების“ ანუ იმ ადამიანების როლებს ირგებენ ვინც მნიშვნელოვნად მიაჩნიათ. ასაკის მატებასთან ერთად „ობიექტური მე„ აქტიურდება, ინდივიდი იწყებს საკუთარი მოქმედების შეფასებას, სხვების პოზიციიდან, ასრულებენ არა მარტო „მნიშვნელოვანი სხვების“ როლებს, არამედ „განზოგადებული სხვებისაც“.

კალჰუნი და სხვები, განმარტავენ, რომ: „ბავშვები იწყებენ ფიქრს საკუთარი მოქმედებების შესახებ: სწავლობენ, რომ დახველებისას საჭიროა პირზე ხელის აფარება, არა იმიტომ, რომ რომელიმე კონკრეტულმა პირმა უთხრა მათ ამის შესახებ, არამედ იმიტომ, რომ ზოგადად ადამიანები მიუთითებენ, რომ ეს კარგი საქციელია. ამგვარად,

ბავშვები თანდათანობით აფასებენ საკუთარ თავს კულტურული ნორმებისა და ღირებულებების თვალსაზრისით“ (კალჰუნი, ლაითი, კელერი, 2008, გვ. 203)

2.1.3. კოგნიტური განვითარების თეორია

ჟან პიაჟეს კოგნიტური განვითარების თეორიის მიხედვით ბავშვები აქტიურად სწავლობენ და იაზრებენ, გადიან კოგნიტური განვითარების ეტაპებს, რა დროსაც მათი დამოუკიდებულებები საკუთარი სქესის გაგებასთან დაკავშირებით იცვლება. „კოგნიტური განვითარების თეორიის თანახმად ბავშვები სამყაროში ცოდნას კვლევების გზით აგროვებენ“(ბერკი, 2010, გვ. 30). კოგნიტური განვითარების თეორია სოციალურ გარემოსთან ერთად აქცენტს ინდივიდუალურ ინტერპრეტაციების მნიშვნელობაზე აკეთებს. მას შემდეგ რაც ბავშვები კონკრეტული აზროვნებიდან აბსტრაქტულ აზროვნებაზე გადასვლას იწყებენ, ისინი აღარ შემოიფარგლებიან მხოლოდ ინფომაციის მიღებითა და გათავისებით, არამედ აქტიურად ერთობიან შემეცნებით პროცესებში.

2.2.სოციალური დასწავლის თეორია

ალბერტ ბანდურა სოციალურ დასწავლას, სხვაგვარად დაკვირვებით სწავლებას უწოდებს. ბავშვები და მოზარდები მუდმივად აკვირდებიან თანატოლების და უფროსების ქმედებებს და ცდილობენ, საკუთარი ქმედებები გარშემომყოფთა მოსაზრებებსა შეუსაბამონ (Bandura, 1971) ანუ „ბავშვი სწავლობს ქცევებს და დამოკიდებულებებს, რის შედეგადაც ის ცდილობს არასასურველი ქცევის თავიდან აცილებასა და სასურველი რეაქციების გაზრდას“ (ბერკი, 2002, გვ. 28). ბავშვები და მოზარდები მუდმივად ითვისებენ გენდერულად ტიპიურ ქცევებს, მაგალითად გოგონები და ბიჭები თანატოლებისგან სწავლობს ჩაცმის სტილს, ვინაიდან მოსაწონნი (მიღებულნნი) იყვნენ, მათ წრეში. ბანდურა ინდივიდს უტოვებს ინტერპრეტაციის შესაძლებლობას, მოგვიანებით, ტერმინი სოციალური დასწავლა, სოცილური შემეცნებით ჩაანაცვლა.

2.3.გენდერული სქემის თეორია

გენდერული სქემის თეორია, აერთიანებს სოციალურის დასწავლისა და კოგნიტური განვითარების თეორიების ელემენტებს (ბერკი, 2002). გენდერული სქემის თეორიაზე საუბრობს სანდარა ბემი, ბემის მიხედით ყველა კულტურა დაფუძვნებულია ქალთა და მამაკაცთა სხვაობაზე, მიუხედავად იმისა რომ განსხვავებული კულტურები განსხვავებულ ამოცანებს უსახავენ თითოეული სქესის ინდივიდს (bem, 1981) ნებისმიერ საზოგადოებაში ადგილი აქვს როლების განაწილებას სქესის მიხედვით, გადანაწილების ეს სიტემა, ჩართული ბავშვის სოციალიზაციის პროცესში : პროცესი რომლის დროსაც ბიჭები და გოგონები, ითვისებენ ქალურობასა და მამაკაცურობას (ქალისა და მამაკაცის გენდერულ როლებს) ეწოდება გენდერული ტიპირება.

სანდრა ბემის, გენდერული სქემის თეორია აქცენტირებულია, გენდერულ კატეგორიზაციაზე , კატეგორიზაციის მეშვეობით ბავშვს უმარტივდება სამყაროს აღქმა ამიტომ „ბავშვი მეტაფორულ ასოციაციებს ჩართავს გენდერულ სქემაში და ქმნის კატეგორიებს“ (ბერეკაშვილი, 2012, გვ.26) მაგალითად: ბავშვები გრძნობენ მასწავლებლების განხვავებულ დამოკიდებულებებს ბიჭების და გოგონების ერთიდაიმავე საქციელის მიმართ; უწევთ მოუსმინონ მასწავლებლების განზოგადებულ ფრაზებს მდედრობითი და მამრობითი სქესისთვის შესაფერისი მახასიათებლების შესახებ. დროთა განმავლობაში ბავშვებს და მოზარდებს გენდერული როლებისა და სხვადასხვა სქესისთვის შესაფერისი მახასიათებლების შესახებ უფროსების მსგავსი კატეგორიები უვითარდებათ.

“გენდერული სქემა არის შემეცნებითი სტრუქტურა, ასოციაციური ქსელები, რომელიც ხელმძღვანელობს ინდივიდუალური აღქმებით” (bem, 1981, 355). სქემატური დამუშავების პროცესი იმდენად შერჩევითია, რომ ინდივიდს საშუალებას აძლევს დააწესოს სტრუქტურა და მნიშვნელობები, შემომავალი სტიმულების ფართო სპექტრისთვის (bem, 1981) ანუ მაშინ როდესაც ბავშვი დგება ახალი ინფორმაციის პირისპირ ის ატარებს, მას გენდერული სქემის ფილტრში და რა დროსაც გადაწყვეტს მიიღოს თუ არა ის.

ბემი განარჩევს სქემატურ ან არასქემატურ ბავშვებს, იმის მიხედვით თუ რამდენად ტიპირებულია ბავშვი გენდერულად (bem, 1981). ლორა ბერკი (ბერკი, 2010) იზიარებს ბემის მოსაზრებებს, აღნიშნავს რომ: ზოგიერთი ბავშვი სხვებთან შედარებით უფრო მეტად იზიარებს გენდერულად ტიპიურ შეხედულებებს (bem, 1981) და განარჩევს გენდერულად სქემატურ და არასქემატურ ბავშვებს. ლორა ბერკი ლიბენსსა და ბიგლერზე (Liben & Bigler) დაყრდნობით გვათავაზობს „გენდერულად სქემატური და არასქემატური ბავშვების კოგნიტური სვლების ილუსტრაციას“ (ბერკი, 2010, გვ.719):



ილუსტრაცია N 1 გენდერული სქემის ფილტრი

„გენდერულად სქემატური ბავშვის გენდერული ფილტრი გენდერს უაღრესად რელევენტურს გახდის. ბილი ხედავს თოჯინას და ფიქრობს _ „ბიჭმა უნდა ითამაშოს თოჯინით?“ თუ პასუხია „დიახ“ და თანაც სათამაშოც აინტერესებს, იგი მივა თოჯინასთან, დაათვალიერებს და შეისწავლის. თუ პასუხია „არა“, მისი რეაქცია იქნება „არა“ - „არასათანადო“ სათამაშოსაგან თავის არიდება. გენდერულად არასქემატური ბავშვი იშვიათად აღიქვამს სამყაროს გენდერთან დაკავშირებულ ცნებებში. თოჯინის შემთხვევაში ბილი უბრალოდ ჰკითხავს თავს _ „მომწონს ეს სათამაშო?“ _ და უპასუხებს თავისი ინტერესებიდან გამომდინარე“(ბერკი, 2010, გვ.719)

2.4.სოციალური როლების თეორია

გენდერული სოციალიზაციის თეორიებს შორის მნიშვნელოვანია სოციალური როლების თეორია, რომელიც ელის იგლიმ განავითარა (Eagly,1987). სოციალური როლების თეორიის მიხედვით გენდერული როლების შესახებ ინდივიდთა რწმენები და წარმოდგენები, განაპირობებს განსხვავებებს ქალებსა და მამაკაცის შორის. ინდივიდები ასრულებენ იმ სოციალურ როლებს, რომლის შესრულებას მოითხოვს, მათგან საზოგადოება. მამაკაცებსა და ქალებს შორის სოციალური როლების განსხვავებულად გადანაწილებამ განაპირობა, ფიზიკურ და სხვა შესაძლებლობებთან ქალებისა და მამაკაცების განსხვავებულად ადაპტაცია.

ელის იგლი საუბრობს, რომ ქალისა და მამაკაცის როლების განსხვავებულად აღქმის მიზეზებზე, კერძოს ფიზიკური შესაძლებლობები (მამკაცი ფიზიკურად ძლიერია, ქალს აქვს რეპროდუქციის შისაძლებლობა) და გარემო პირობები, განაპირობებს შრომის გადანაწილებას, თუმცა მიზეზი ქალისა და მამაკაცის გენდერულ როლებს შორის სხვაობა არის ის წარმოდგენები რომლების ინდივიდებს უყალიბდებათ, სოციალიზაციის პროცეში (Eagly,1987), (იხილეთ დიაგრამა 2).



დიაგრამა N1 : სექსობრივი განხვავებები

3. თავი

ემპირიული კვლევა N1: მასწავლებლები, როგორც გენდერული სოციალიზაციის აგენტები, გენდერული განწყობები და ქცევითი სტრატეგიები

3.1.შესავალი

მასწავლებლების როლი ბავშვის გენდერული მახასიათებლების ფორმირების პროცესში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია. მასწავლებლები უშუალო გავლენას ახდენენ დიფერენცირებულ გენდერულ სოციალიზაციაზე, რაც გულისხმობს სოციალიზაციის პროცეს, რომლის დროსაც გოგონები და ბიჭები ჩაყენებულნი არიან განსხვავებულ სოციალ-ფსიქოლოგიურ პირობებში.

მასწავლებლები, საზოგადოების დანარჩენი წევრების მსგავსად იზიარებენ იმ სოციუმის შეხედულებებს გენდერზე, რომელშიც ცხოვრობენ, გამოხატავენ საკუთარ განწყობებს მოსწავლეებთან, აქედან გამომდინარე ისინი გაუცნობიერებლად ასრულებენ კონკრეტული საზოგადოების დაკვეთას და ხელს უწყობენ ტრადიციული გენდერული როლების ჩამოყალიბებას. გარდა იმისა, რომ მასწავლებლები გადმოსცემენ სუბიექტურ განწყობებისა და დამოკიდებულებებს, მათ უხდებად გენდერული სტერეოტიპების შემცველი სასწავლო მასალის გადაცემა მოსწავლებისათვის, რაზეც დეტალურად შემდეგ თავში ვისაუბებთ. ყველაფერი ეს ხელს უწყობს გენდერული სტერეოტიპების ინტერნლიზაციას, ბავშვების ქცევებსა და დამოკიდებულებებში (Bigler, Hayes & Hamilton, 2013).

ბიგლერი, ჰეისი და ჰემილტონი (2013) აყალიებებ სამ გზას, რომლის საშუალებითაც პედაგოგები ახდენენ საკლასო გარემოში გენდერული სტერეოტიპებისა და წარმოდგენების ფორმირებას: 1. მასწავლებლები ხშირად ქმნიან გენდერულად სტერეოტიპულ ქცევის მოდელს, მაგალითად თუ ქალი პედაგოგები გამოხატავენ, შიშს მათემატიკის მიმართ. 2. მასწავლებლები გამოხატავენ განსხვავებულ მოლოდინებს

ბიჭებისა და გოგონების მიმართ. 3. მასწავლებლები ხშირად ხელს უწყობენ გენდერულ მარკირებას (Bigler, Hayes & Hamilton, 2013).

მასწავლებლებს შეუძლიათ შეზღუდონ ბავშვების გენდერული მახასიათებლები ყოველღიურ ცხოვრებაში, რაც გავლენას ახდენს გენდერულ თვითშეგნებასა და დამოკიდებულებზე (Grusec & Hastings, 2007).

ბიგლერის გვთავაზობს კვლევას, რომლის დროსაც ერთ კლასში მასწავლებლებს სთხოვეს საკლასო ღონიეძიებების ორგანიზებისათვის, გაენაწილებინათ ბავშვების ფუნქციები სქესის მიხედვით, მეორე კლასში კი არა, ოთხი კვირის შემდეგ გენდერული სტერეოტიპების მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა პირველი საკლასო ოთახისში მყოფ მოსწავლეებში, მეორეში კი არ შეცვლილა (bigler, 1997).

მასწავლებლებს ასევე შეუძლიათ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ ბავშვების კარიერულ/აკადემიურ მისწრაფებებსა და ინტერესებზე, მასწავლებელი წარმოადგენენ მისაბაძ პიროვნება ბავშვებისთვის, მაგალითად თუ მათემატიკას და ფიზიკას ასწავლის ქალი, ამან შეიძლება გაიზარდოს გოგონათა ინტერესი სამეცნიერო სფეროში (Evans, Whigham, & Wang, 1995).

შეპარტსონი და პიზინი (Shepardson & Pizzini, 1992) ამტკიცებენ რომ პედაგოგებს განსხვავებული მოლოდინები აქვთ ბიჭებისა და გოგონების შესაძლებლობების შესახებ სასკოლო საგნებში, რაც გავლენას ახდენს ბავშვის თვითშეფსებაზე და წარმატების განმზაღველი ერთ-ერთ მნიშვნელოვანი ფაქტორია.

ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ლიტერატურა და კვლევები, რომლებიც სწავლობს მასწავლებლის გავლენას მოსწავლეების გენდერულ სოცილიზაციის პროცესზე საკმაოდ მწირია. ამ მიმართულებთ მნიშვნელოვანი კვლევა ეკუთვნის ნანა ბერეკაშვილს „გენდერული სოციალიზაციის ფაქტორები განათლების კონტექსტში“. აღსანიშნავია ქალთა ფონდის კვლევა „მასწავლებელთა ცოდნისა და დამოკიდებულებების კვლევა გენდერული თანასწორობის შესახებ“ (2014) ორივე კვლევა მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაძლევს, როგორც პედაგოგთა გავლენის შესახებ გენდერულ სოციალიზაციის პროცესზე, ასევე ზოგადად მათ დამოკიდებულებებზე გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებით, თუმცა ეს კვლევები 2012-2014 წლებში განხორციელდა, ამიტომ რელევანტურად მიმაჩნია ამ მიმართულებით კვლევებს

გაგრძელება, რაც საშუალებას მისცემს სასკოლო განათლების პროცესში ჩარტულ ინდივიდებს, შეაფასონ არსებული პრობლემები და შეიმუშავონ სტრატეგიები მათ გადასაჭრელად.

3.2.კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია, შეისწავლოს სასკოლო გარემოში საბაზო და საშუალო კლასების მასწავლებლის გავლენა ბავშვის გენდერულ სოციალიზაციაზე. კვლევა ფოკუსირებულია საქართველოს საჯარო სკოლის პედაგოგების დამოკიდებულებების და ქცევითი სტრატეგიების შესწავლაზე, ფემინური და მასკულინური მახასიათებელების, გენდერული როლების, გენდერული მახასიათებლების განმტკიდების ტენდენციები შესახებ, გამოიკვეთოს მათი გენდერული განწყობები და დადგინდეს რა გენდერული მახასიათებლების განვითარებისაკენ უბიძგებენ პედაგოგები მოსწავლეებს.

3.3. კვლევის ამოცანები

კვლევის მიზნების შესასრულებად დაისახა შემდეგი პრაქტიკული ამოცანების გადაჭრა:

- შეისწავლოს მასწავლებელთა ცოდნა და ინფორმირებულობა გენდერულ თანასწორობასა და განათლების სფეროში თანასწორუფლებიანი გარემოს მნიშვნელობაზე;
- შეისწავლოს მასწავლებელთა დამოკიდებულებები ქალ და მამაკაც პედაგოგთათვის შესაფერისი ფიზიკური და ქცევითი მასახიათებლების შესახებ;
- შეიწსავლოს მასწავლებელთა შეხედულებების და რეაქციები გოგონებისა და ბიჭების: თვისებზე, ქცევებსა და გარეგნულ მახასიათებლებზე ;

- გამოავლინოს და შეისწავლოს მასწავლებელთა დამოკიდებულეები გოგონებისა და ბიჭების აკადემიური მოსწრების, სასწავლო უნარ-ჩვევების და ნიჭიერებას შესახებ;
- გამოავლინოს ახდენენ თუ არა მასწავლებლები სასკოლო დისციპლინებისა და სპეციალობების სეგრეგაციას;
- შეისწავლოს მასწავლებელთა ქცევითი სტრატეგიები: მოსწავლეთა შორის გენდერულად სტერეოტიპებული შეხედულებებისა და ქცევების საფუძველზე, წარმოშობილ კონფლიქტებზე;
- შეისწავლოს, მასწავლბელების ხედვები სასკოლო გარემოში გენდერული სტერეოტიპებისა და გენდერზე დაფუძვნებული ჩაგვროს შემცირების შესახებ;

3.4.კვლევის მეთოდი

ემპირიული კვლევა ჩატარდა ქალაქ გორის ერთ-ერთი საჯარო სკოლის საშუალო და საბაზო კლასების სხვადასხვა საგნების მასწავლებლებთან. სკოლის ხელმძღვანელობის თხოვნით სკოლას არ ვასახელებთ. შეგვიძლია დავაზუსტებთ, რომ ეს არის გორი ერთ-ერთი ტიპიური საჯარო სკოლა.

შედარებისა და ანალიზისათვის გამოვყავით კვლევაში მონაწილე მასწავლებელთა ასაკობრივი ჯგუფები: 25-40; 41-55; 56-ზევით

კვლევა განხორციელდა თვისებრივი მეთოდით, კერძოდ, შეირჩა სიღრმისეული ინტერვიუს ტექნიკა.

შერჩევის არეალი: 30 რესპონდენტი,საბაზო და საშუალო კლასების მასწავლებლები;

ინტერვიუს ხანგრძლივობა 45-55 წუთი თითოეულ რესპონდენტთან.

სიღრმისეული ინტერვიუს ტექნიკის შერჩევა განაპირობა სურვილმა, რესპონდენტებისაგან საკითხთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია მიგვეღო; სიღრმისეული ინტერვიუს ტიპი საშუალებას გვაძლევს რესპონდენტი საკითხზე გვესაუბროს, შემთხვევების აღწერით და მაგალითების მოყვანით, რაც კიდევ უფრო მკაფიოდ დაგვანახებს ტენდენციებს.

3.5.ჰიპოთეზები

კვლევის მოსამზადებელ პერიოდში, არსებული ლიტერატურაზე/დაყრდობით, შემუშავდა, ზოგადი სახის ჰიპოთეზები, რომელთა შემოწმებაც დავისახეთ მიზნად აღნიშნული კვლევის საშუალებით, ვივარაუდეთ, რომ:

საკვლევი ჰიპოთეზა:

მასწავლებელთა განწყობები და ქცევითი სტრატეგიები სხვადასხვა სქესის ბავშვების მიმართ განსხვავდება და უწყობს დიფერენცირებულ გენდერულ სოციალიზაციას;

ქვეჰიპოთეზები:

- მასწავლებელთა მოსაზრებები ბიჭებისა და გოგონების დადებითი და უარყოფითი თვისებებისა და ქცევის შესახებ, ეფუძვნება საზოგადოებაში გაბატონებულ სტერეოტიპებსა და კულტურულ ნორმებს;
- მასწავლებელთა მიერ გამოყენებულ დასჯისა და წახალისების მეთოდებს განსაზღვრავს მოსწავლეთა სქესი;
- მასწავლებლები სქესის მიხედვით ახდენენ საგანთა/სასწავლო დისციპლინათა სეგრეგაციას;
- მასწავლებელთა შეხედულებებს ბავშვების შესაძლებლობებს, ნიჭის და უნარების შესახებ, განსაზღვრავს მოსწავლეთა სქესი;
- მასწავლებელთა მოლოდინებსა და ხედვებს მოსწავლეთა სამომავლო პერსპეტივების, შესახებ განსაზღვრავს მოსწავლეთა სქესი;
- ახალგაზრდა პედაგოგთა განწყობები და ქცევები ნაკლები გენდერულ სტერეოტიპების შემცველი უნდა იყოს;

3.6. სიღრმისეული ინტერვიუს კითხვარის სტუქტურა

სიღრმისეული ინტერვიუს კითხვარი რამდენიმე ბლოკად იყოფა:

პირველი ბლოკი იკვლევს რესპონდენტთა ცოდნასა და ინფორმირებულობას გენდერულ საკითხებზე;

სიღრმისეული ინტერვიუს კითხვარის პირველი ბლოკი მოიცავს კითხვებს:

ა. რას ფიქრობენ გენდერული თანასწორობის შესახებ და როგორ განმარტავენ ტერმინს;

ბ. რას ფიქრობენ გენდერული თანასწორობის შესახებ განათლების სფეროსა და საკოლო გარემოში;

გ. რა შეცვალა ტრენინგებმა/სემინარებმა, აღნიშნულ საკითზე, მათ დამოკიდებულებასა და ქცევაში;

მეორე ბლოკი იკვლევს რესპონდეტთა შეხედულებებს ქალი და კაცი პედაგოგის ფიზიკური და ქცევითი მასახიათებლების შესახებ;

სიღრმისეული ინტერვიუს კითხვარის მეორე ბლოკი მოიცავს კითხვებს:

ა. ქალი და მამაკაცი პედაგოგისთვის შესაფერისი თვისებებისა და ქცევების შესახებ;

ბ. ქალი და მამაკაცი პედაგოგისთვის შესაფერისი საგნების/სასკოლო დისციპლინების შესახებ;

მესამე და მეოთხე ბლოკი იკვლევს რესპონდეტთა შეხედულებებს ბიჭი და გოგო მოსწავლეებისთვის შესაფერისი თვისებების, ქცევებისა და ფიზიკური მასახიათებლების შესახებ;

სიღრმისეული ინტერვიუს კითხვარის მესამე ბლოკი მოიცავს კითხვებს:

ა. ბიჭი და გოგო მოსწავლის თვისებებისა და ქცევების შესახებ ;

ბ. მასწავლებელა რეაქციების შესახებ მოსწავლის ამათუ იმ ქმედებაზე;

მეხუთე ბლოკი იკვლევს რესპონდეტთა შეხედულებებს მოსწავლეთაშორის კონფლიქტებზე და ამ კონფლიქტებში გენდერული სტერეოტიპების როლზე

მეექვსე და მეშვიდე ბლოკი იკვლევს რესპონდეტთა შეფასებებს გოგონებისა და ბიჭების აკადემიური მოსწრების, უნარებისა და ნიჭიერების შესახებ, ასევე სპეციალობების და დისციპლინების სეგრეგაციას;

3.7.კვლევის შედეგების განხილვა

3.7.1. ცოდნა და ინფორმირებულობა

რესპონდენტებს ზოგადი წარმოდგენები აქვთ გენდერული თანასწორობის საკითხებზე, ზედაპირულად ესმით ტერმინთა მნიშვნელობები: გენდერული თანასწორობა; გენდერული სტერეოტიპები; გენდერული სოციალიზაცია; ქალთა უფლებები; პროფესიების სეგრეგაცია; დიფერენცირებული სოციალიზაცია. ტერმინთა განმარტებისას ხშირად ეჭვი ეპარებათ საკუთარ ნათქვამში, მათივე ახსნით ეს გამოწვეულია იმით, რომ ფორმალურ და არაფორმალური განათლების მიღების პროცესში, მათთვის არ მიუწოდებიათ ინფორმაცია მსგავს საკითხებზე, ინგა 33 წლის (ასწავლის ინგლისურ ენას) გვიყვება: „რაც ვიცი ისიც ტელევიზიიდან ვიცი ძირითადად და ინტერნეტიდან, ზოგადად ბევრ ტრენინგებს დავსწრებივარ, მაგრამ ამ საკითზე არა, რაც ძალიან ცუდია სიმართლე გითხრათ არც არავინ მოსულა და უთქვამს, აი ვატარებ ტრენინგებს გენდერულ თანასწორობაზე, რომ მოსულიყო ვინმე აუცილებლად წავიდოდი“.

რესპონდენტები ამბობენ რომ ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობის მომხრენი არიან, მათი ნაწილის აზრით გენდერული თანასწორობა „ცხოვრებამ მოიტანა“ ანუ ცუდმა სოციალურ-ეკონომიკურმა პირობებმა ქალები აიძულა გასულიყვნენ შრომით ბაზარზე, ქალების შინამეურნეობის გარეთ საქმიანობამ ხელი შეუწყო ქალთა ემანსიპაციას და მათ უფლებების გაზრდის სურვილი გაუჩინა.

რესპონდენტებს შორის შეიძლება გამოიყოს: გენდერული თანასწორობის მიმართ პოზიტიურად განწყობილი ჯგუფი და გენდერული თანასწორობის მიმართ გასაკუთრებული პოზიციის არმქონე ჯგუფი. რესპონდენტთა შორის არ ყოფიალი გენდერული თანასწორობის მიმართ რადიკალურად უარყოფითი პოზიციის მქონე პირი. რესპონდენტები ვერ ხსნიან გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მნიშვნელობას განათლების სფეროში, ასევე ბიჭებისა და გოგონების თანასწორუფლებიანი გარემოს შექმნის მნიშვნელობას სკოლაში და ჩაძიების მიუხედავად შემოიფარგლებიან მშრალი ფრაზებით. შესამჩნევად იგრძნობა ბიოლოგიური ესენციალიზმის გავლენა.

3.7.2. მასწავლებელთა წარმოდგენები იდეალური ქალი და იდეალური მამაკაცი პედაგოგების შესახებ

აღმოჩნდა, რომ რესპონდენტები, იდეალური მასწავლებლების აღწერისას, განსხვავებული მახასიათებლებით ახასიათებენ, იდეალური ქალ და იდეალურ მამაკაც კოლეგებს.

ცხრილი N1 . იდეალური ქალი და იდეალური მამაკაცი პედაგოგის მახასიათებლები, რესპონდენტთა შესაფებით (მუქად აღნიშნულია ის თვისებები, რომელიც მხოლოდ ზემოთ აღნიშნულ სქესთან მიმართებაში გამოიყენეს პედაგოგებმა)

იდეალური მამაკაცი პედაგოგი	**იდეალური ქალი პედაგოგი**
მკაცრი; **სამართლიანი;** **ძლიერი;** მეგობრული; კომუნიკაბელური ; **სპორტული;** **ტექნიკაში გარკვეული;** **მომთხოვნი;**	**თავისი საგნის პროფესიონალი;** **ჭკვიანი;** **თავდაჭერილი;** **მოსიყვარულე;** **კეთილი;** **თბილი;** **გამგებიანი;** **მზრუნველი;** მეგობრული; კომუნიკაბელური; **ინტელიგენტი;** **არისტოკრატიული;**

რესპონდენტები იდეალური ქალი პედაგოგის შესაფასებლად უფრო მეტ მახასიათებელს გამოყოფენ, ვიდრე იდეალური მამაკაცი პედაგოგის. გენდერულად ნეიტრალური მახასიათებლების ანუ იმ მახასიათებლების რაოდენობა, რომელიც ორივე სქესის აღწერისას გვხვდება ძალიან მცირეა, ასეთი მახასიათებლებია მეგობრულობა და კომუნიკაბელურობა.

რესპონდენტთა აღწერიდან გამომდინარე ქალი პედაგოგისთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია თვისებებებია: სიძლიერე, სიმკაცრე, ტექნიკაში გარკვეულობა, ხოლო მამაკაცი პედაგოგისთვის არ არის აუცილებელი იყოს თბილი, კეთილი, ჭკვიანი, ინტელიგენტი, გამგებიანი, მზრუნველი, მოსიყვარულე, თავდაჭერილი. მაგალითად ერთ-ერთი პედაგოგი (32 წ.) იდეალურ ქალ და მამაკაც პედაგოგს ასე ახასიათებს: „ქალი პედაგოგი აუცილბელად განათლებული, უნდა იყოს, უყვარდეს თავისი საქმე, უნდა ჩადოს სული გული განწყობა, ენერგია, ემოცია. მამაკაცი პედაგოგოები მხოლოდ სპორტის მასწავლებლები არიან, აი მამაკაცს მეტი სიმკაცრე, მეტი პატივისცემა, მეტი მოთხოვნა, მოეთხოვებათ“.

3.7.3. სასკოლო საგნების სეგრეგაცია მასწავლებელთა სქესის მიხედვით

რესპონდენტები გამოყოფენ სასკოლო დისციპლინებსა და საგნებს, რომლებიც მხოლოდ ერთი ან მეორე სქესის მასწავლებელი უნდა ასწავლიდეს. რესპონდენტები ფიქრობენ, რომ მხოლოდ მამაკაცები უნდა ასწავლიდნენ შემდეგ საგნებს: „სპორტი“ და „საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება“, რაც გამომდინარეობს მამაკაცის ფიზიკური შესაძლებლობებიდან და უნარებიდან, თუმცა შეიმჩნევა დადებითი ტენდენცია, ერთ-ერთმა პედაგოგმა აღნიშნა „ჩვენ გყვავს სპორტის მასწავლებელი ქალი და ძალიან კარგი პედაგოგია“.

რესპონდენტები ფიქრობენ საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე ბიოლოგიას უმჯობესია ქალები ასწავლიდნენ, თვლიან რომ ქალ პედაგოგებს უკეთ შეუძლიათ შეფარვით/ლაკონურად გადმოსცენ საკითხები ადამიანის ანატომიისა და რეპროდუქციული უნარის შესახებ.

3.7.4. მასწავლებელთა წარმოდგენები იდეალური გოგონებისა და იდეალური ბიჭებისთვის შესაფერისი მახასიათებლების შესახებ

რესპონდენტთა დამოკიდებულებებს გოგონებისა და ბიჭებისთვის შესაფერისი ქცევის და თვისებების შესახებ, თან ახლავს გენდერული ნიშანები, რაც სხვადასხვა სქესის მოსწავლეებს განსხვავებულ მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს აკისრებს.

აღმოჩნდა, რომ მასწავლებელთა განწყობები განსხვავებულია და დამოკიდებულია მოსწალეთა სქესზე, რესპონდენტები ბიჭისა და გოგოსთვის შესაფერის თვისებებს და ქცევებს გამოყოფენ.

ცხრილ N2-ში მოცემულია მასწავლებელთა მოზრებები, იმის შესახებ თუ რა შემთხვევაში ჩაითვლება გოგონა და ბიჭი იდეალურად ან იდეალურთან მიახლოებულად?! რა თვისებებს უნდა ატარებდნენ ისინი ?

ცხრილი N2. მასწავლებელთა წარმოდგენები იდეალური გოგონებისა და ბიჭების შესახებ (მუქად აღნიშნულია ის თვისებები, რომელიც მხოლოდ ზემოთ აღნიშნულ სქესთან მიმართებაში გამოიყენეს პედაგოგებმა)

იდეალური მოსწავლე ბიჭი	*იდეალური მოსწავლე გოგო*
განათლებული; პასუხისმგებლიანი; პატივისმცემელი; **ზრდილობიანი;** **კულტურული;** **არ უნდა იყოს ძალიან უხეში;** მეგობრული; **ვაჟკაცური;** **ცელქი;**	**მოწესრიგებულო;** **წესიერი;** **წყნარი;** **დინჯი;** განათლებული; პატივისმცემელი; **ურთიერთობების მცონდე;** **მომსმენი;** **დიპლომატიური;** **უნდა ითვალისწინებდეს სხვის აზრს;** მეგობრული; **თავმდაბალი;** **დისციპლინიებული;** პასუხისმგებლიანი;

აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ კვლევაში მონაწილე მასწავლებლები იდეალური მოსწავლე გოგონას აღსაწერად მეტ მახასიათებლებს გამოყოფს ვიდრე იდეალური მოსწავლე ბიჭის, ამასთან ისეთ მახასიათებლებს როგორებიცაა: ზრდილობიანი, კულტურული, ვაჟკაცური, ცელქი მხოლოდ ბიჭების აღსაწერად გამოიყენებენ. რესპონდენტთა გადმოცემის გოგონა ზრდილობინი და კულტურული, რომ უნდა იყოს თავისთავადი და ცხადია, ამიტომ გოგონების შემთხვაში ამ მახასიათებლებზე დამატებით აღნიშვნა საჭიროდ არ მიაჩნიათ.

რესპონდენტებმა იდეალური მოსწავლე გოგონების აღსწერად შემდეგი მახასიათებლები გამოჰყვეს: მოწესრიგებულო; წესიერი; წყნარი; დინჯი; ურთიერთობების მცონდე; მომსმენი; დიპლომატიური; უნდა ითვალისწინებდეს სხვის აზრს; თავმდაბალი; დისციპლინირებული. მასწავლებელთა აზრით ეს მახასიათებლები ნაკლებად მნიშვნელოვანია ბიჭების შემთხვევაში.

3.7.5. მასწავლებელთა წარმოდგენები გოგონებისა და ბიჭებისთვის შესაფერისი მახასიათებლების შესახებ: შექება; ხელის შეწყობა; კრიტიკა; მიმღებლობა

კვლევის ინსტრუმენტის აღნიშნული ნაწილის შედგენისას და კვლევის შედგების ანალიზის პროცესში გამოვიყენეთ სადკერების მასწავლებელთა ქცევების ტიპოლოგია (სადკერები გამოყოფენ მასწავლებელთა, მოსწავლეთა მიმართ ქცევის 4 ტიპს: შექება, ხელის შეწყობა, კრიტიკა, მიმღებლობა (Sadker&sadker, 1994). ჩვენ თითოეულ მათგანს განვიხილავთ გენდერული სოციალიზაციასთან მიმართებაში.

შექება. რესპონდენტთა პასუხებიდან ირკვევა, რომ პედაგოგები დიფერენცირებულ გენდერულ სოციალიზაციას მოსწავლეთა შექების პროცესშიც კი უწყობენ ხელს, როდესაც მათ განსხვავებული მახასიათებლების გამოვლენის დროს აქებენ. ცხრილ N4 ნაჩვენებია რისთვის აქებენ პედაგოგები ბიჭებს და გოგონებს?!

ცხრილი N3 (მუქად აღნიშნულია ის თვისებები, რომელიც მხოლოდ ზემოთ აღნიშნულ სქესთან მიმართებაში გამოიყენეს პედაგოგებმა)

რისთვის აქებენ მასწავლებლები ბიჭებს?	*რისთვის აქებენ მასწავლებლები გოგონებს?*
ზრდილობა; **ვაჟკაცური საქციელისთვის;** მეგობრის მხარში დგომისთვის; სწავლა; მეგობრობა;	ზრდილობა; **გამართული მეტყველება;** **სიკეთე;** მეგობრობა; თანადგომა; **მოწესრიგებულობა;** **სიწყნარე;** **სიდინჯე;** **კარგი აზროვნება;** სწავლა;

აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებლები გოგონების შესაფასებლად მეტ მახასიათებლებს გამოყოფენ ვიდრე ბიჭების, პედაგოგები მეტად მომთხოვნები სწორედ გოგონების მიმართ არიან, ერთ-ერთი პედაგოგი აღნიშნავს „ბიჭს ცოტა უფრო მეტს ვპატიობთ, გოგონებს მეტი მოეთხოებათ“

აღმოჩნდა, რომ პედაგოგები მოსწავლე გოგონებს ძირითადად დისციპლინისა და საზოგადოებრივი ნორმების, ქცევის სტანდარტების დამორჩილებისთვის აქებენ, ბიჭებს კი მეგობრობის, თანადგომისა და „ვაჟკაცური“ საქციელისთვის.

აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებელების შექება ხელს უწყობს ბიჭების აქტიურ, ხოლო გოგონების პასიურ როლებთან ინტეგრაციას.

ხელის შეწყობა. ცხრილ N4 ნაჩვენებია, მასწავლებელთა წარმოდგენით, რა მახასიათებლების განვითარებას უწყობენ ხელს ბიჭებსა და გოგონებში?

ცხრილი N4 (მუქად აღნიშნულია ის თვისებები რომელიც მხოლოდ ზემოთ აღნიშნულ სქესთან მიმართებაში გამოიყენეს პედაგოგებმა)

რა თვისებებისა და ქცევების განვითარებას უწყობენ ხელს პედაგოგები ბიჭებში?	რა თვისებების და ქცევების განვითარებას უწყობენ ხელს პედაგოგები გოგონებში?
პასუხიმგებლობის გრძნობის; **სათავგადასავლო და ისტორიული ლიტერატურის კითხვის;** დამოუკიდებლობის; განათლების მიღება; სიძლიერის;	**რომანტიზმის;** **რომანტიკური ლიტერატურის კითხვის;** კარგად სწავლის; **სიდინჯის;** დამოუკიდებლობის; სიძლიერის; **ნებისყოფის გამომუშავების;** პასუხისმგებლობის გრძნობის;

პედაგოგები, თავადვე აღნიშნავენ რომ გოგონებში სიწყნარესა და სიდინჯის, ბიჭებში კი აქტიურობის წახალისებას ახდენენ. ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი აღნიშნავს რომ ბიჭებს სათავგადასავლო და ისტორიული ლიტერატურის კითხვას ურჩევს ხოლმე, ხოლო გოგონებს სასიყვარულო-რომანტიკულის. საკითხავი ლიტერატურის მსგავსი სეგრეგაცია, ხელს უწყობს ბიჭების აქტიურ, ძლიერ, დამოუკიდებელ პიროვნებებად ჩამოყალიბებას, მაშინ როდესაც გოგონებს „ნამდვილი სიყვარულის“ და „თეთრ რაშზე ამხედრებული პრინცის“ ლოდინისკენ უბიძგებს.

კრიტიკა. კვლევის ამ ნაწილში შევეცადეთ გაგვერკვია, რისთვის აკრიტიკებენ/აძლევენ შენიშვნებს მასწავლებლები ბიჭებსა და გოგონებს, იხილეთ ცხრილი N5

ცხრილი N5 (მუქად აღნიშნულია ის თვისებები რომელიც მხოლოდ აღნიშნულ სქესთან მიმართებაში გამოიყენეს პედაგოგებმა)

პედაგოგები ბიჭეს შენიშვნას აძლევენ როდესაც :	პედაგოგები გოგონებს შენისშვნას აძლევენ როდესაც :

ჭორაობენ „გოგონებვით“; ამბობენ ტყუილს; **ჩაგრავენ სუსტს;** **უხეშებობენ;** **არ ესმითს დარიგება;** **არიან აფექტურები;** **ეკამათებიან მასწავლებელს;**	**ერევიან ბიჭების საქმეში;** **თავხედობენ;** იტყუებიან; **ჭორაობენ;** **გამომწვევად იცვამენ;** **ეპასუხებიან მასწავლებლებს;** **ურჩობენ;** **არ ემორჩილებიან მასწალვლებელს;**

შენიშვნები, რომლებსაც პედაგოგები გოგონებს აძლევენ, ხელს უწყობს გოგონებში მორჩილების და პასიურობის განვითარებას, მათ მოთავსებას გენდერულ სტანდარტებში.

მიმღებლობა. კვლევის ამ ნაწილის მიზანი იყო გაგვერკვია შენიშვნების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში პედაგოგთა რეაქციები და განწყობები მოსწავლეთა მიმართ. აღმოჩნდა რომ პედაგოგებისთვის თანაბრად მიუღებელია ბიჭებისა და გოგონების არაშესაფერისი/არააკადემიური ჩაცმის სტილი, თუმცა გოგონებისგან უფრო მეტად აიტანდნენ „დეკოლტეს“ ან „ტატუს“ და მიიღებდნენ მას როგოც ნორმას, ვიდრე ბიჭებისგან საყურეს ან სხვა ბიჭის გენდერულ როლთან არაშესაფერის ტანისამოს მაგ. „ვარდისფერ ზედას“.

რაც შეეხება ბიჭებისა და გოგონების ქცევებს აქ პირიქითაა, რესპონდენტები უფრო მიმღებნი არიან იმ ბიჭების მიმართ ვინც არ ემორჩილება მოსწავლის სტანდარტებს, ვიდრე გოგონების, რომლებიც მაგალითად არიან: ცელქები, არ ემორჩილებიან პედაგოგებს და ა.შ.

3.7.6. მოსწავლეთაშორისი კონფლიქტები

კვლევის აღნიშნული ნაწილის მიზანია გაგვერკვია რესპონდენტთა შეფასებებით, რა იწვევს მოსწავლეთაშორის კონფლიქტებს; არის თუ არა დაკავშირებული

მოსწავლეთაშორისი კონფლიქტები საზოგადოებაში გავრცელებულ სტერეოტიპებთან და კულტურულ ნორმებთან.

მოსწავლეთაშორისი კონფლიქტები დავყავით 3 ნაწილად : ბიჭებსა და ბიჭებს შორის; ბიჭებსა და გოგონებს შორის; გოგონებსა და გოგონებს შორის;

რესპონდეტთა აზრით გენდერულ სტერეოტიპებთან და კულტურულ ნორმებთან დაკავშირებული კონფლიქტები ყველაზე მეტად დამახასიათებელია ბიჭებში, ვინაიდან ხშირად მასკულინური მასახიათებლების მქონე ბიჭები უპირისპირდებიან ე.წ ანდროგენის ტიპის ბიჭებს. რესპონდეტთა შეფასებით ასეთ კონფლიქტებს ხშირად დადებითი შედეგიც კი მოჰყვება ხოლმე მაგ. ქიმიის პედაგოგი გვიყვება (41 წლის) „მე თვითონ მყავს ისეთი მოსწავლე, ბიჭი რომელზეც ამბობდენ, რომ განხვავებული ორიენტაციის არის, მარა სხვა ბიჭებმა მოიყვანეს აზრზე და ეხლა ურთიერთობენ მასთან და შეცვალეს ეს ბავშვი“

რესპონდენდთა გადმოცებით ბიჭებსა და გოგონებს შორის კოფლიქტები შეიძლება იყოს დაკავშირებული გენდერულ ნორმებთან, მაგალითად ეს ხდება მაშინ როდესაც გოგონები არსებული კულტურის მიერ დაწესებულ ქალის გენდერულ როლთან არაშესატყვის ქმედებას ახორცილებენ. ეს შეიძლება იყოს: ბილწსიტყვაობა; სიგარეტის მოწევა; ზედმეტი ფიზიკური აქტივობა; გარეგნული მახასიათებლები (ულამაზობა); მაგალითისთვის ხელოვნების პედაგოგი გვიყვება „ერთ გოგონას მთელი კლასის ბიჭები დაუპირისპირდნენ, ბილწ სიტყვებს გვეუბნებაო, მთელი კლასი აუჯანყდა, მეორე დღეს ისე გამწვავდა ეს კონფლიქტი ხელითაც შეეხნენ, რამდენიმე თვეში ეს გოგონა ისე დამშვენდა და ისე გალამაზდა, ეხლა ყველა ემეგობრება“.

რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ პედაგოგი მოსწავლეთაშორის კონფლიქტებში უკიდურეს შემთვევაში უნდა ჩაერთოს, თუმდაც ეს კონფლიქტები გენდერულ სტერეოტიპებს უკავშირდებოდეს, ვინაიდან ბავშვებს ხშირ შემთხვევაში თავად უკეთესად შეუძლიათ კონფლიქტის მოგვარება, პედაგოგის ჩარევამ კი შესაძლოა კონფლიქტი მეტად გაამწვავოს.

3.7.7. აკადემიური მოსწრების, სასწავლო უნარების და ნიჭიერების შეფასება

კვლევის აღნიშნული ნაწილი სწავლობს მასწავლებელთა დამოკიდებულებებს გოგონებისა და ბიჭების: აკადემიური მოსწრების; ნიჭიერებისა და უნარების შესახებ. რესპონდენტები მკვეთრად ახდენენ აკადემიური მოსწრების, ნიჭიერების და სასწავლო უნარების სეგრეგაციას მოსწავლის სქესის მიხედვით.

აკადემიური მოსწრება. რესპონდენტების შეფასებით ზოგადად გოგონებს ბევრად უკეთესო აკადემიური მოსწრება აქვთ ვიდრე ბიჭებს, როგორც ნიშნების ასევე დასრების მიხედვით, თუმცა იმასაც აღნიშნავენ, რომ ეს ტენდენცია თანდათანობით იცვლება.

უნარ-ჩვევების შეფასება. რესპონდენტები, გოგონებს უფრო სოციალურ სხვა ადამიანებთან „საერთო ენის გამონახვისთვის“ საჭირო უნარებს-ჩვევებს მიაწერენ, მაშინ როდესაც ბიჭებს ისეთი უნარების მატარებლად განიხილავენ, რომლებიც ლიდერობისთვის არის საჭირო. იხ. ცხრილი N6

ცხრილი N6 უნარ-ჩვევების შეფასება (მუქად აღნიშნულია ის თვისებები რომელიც მხოლოდ აღნიშნულ სქესთან მიმართებაში გამოიყენეს პედაგოგებმა)

პედაგოგთა აზრით, რა უნარ-ჩვევებით გამოიჩევიან ბიჭები;	პედაგოგთა აზრით, რა უნარ-ჩვევებით გამოიჩევიან გოგონები;
პრაქტიკული გონებით; **მასალის სწრაფად ათვისებით;** **სისხარტით;** **ანალიტიკური აზროვნებით;**	**შრომისმოყვარეობით;** **მოსმენის უნარით;** **დიპლომატიურობით;** **სხვისი გაგების;**

ნიჭიერების შეფასება. ყველა გამოკითხული პედაგოგი თვლის, რომ ბიჭები გოგონებზე ნიჭიერები არიან, მაგალითად ინგლისურის პედაგოგი (33 წლის) „გოგოები უფრო შრომისმოყვარეები არიან ბიჭები უფრო ნიჭირები, არ უნდათ სამი-ოთხი საათი ჯდომა და მეცადინეობა, ერთ გადახედავენ და უკვე იციან“, ქიმიის პედაგოგი (41

წლის) „მსოფლიოში მიღებული პრაქტიკაა, რომ ბიჭი უფრო ნიჭიერია, ჭადრაკს ხომ ბიჭები უფრო კარგად თამაშობენ“.

ცხრილი N7 ნიჭიერების შეფასება (მუქად აღნიშნულია ის თვისებები რომელიც მხოლოდ აღნიშნულ სქესთან მიმართებაში გამოიყენეს პედაგოგებმა)

პედაგოგთა აზრით, რისი ნიჭი აქვთ ბიჭებს;	პედაგოგთა აზრით, რისი ნიჭი აქვთ გოგონები;
პაზლების აწყობის; **ტექნიკის აწყობა დაშლის;** **ხეზე მუშაობის;** **ჭადრაკის თამაშის;** **ყველანერი სპორტის;**	**ხელოვნების;** **ხატვის;** **ძერწვის;** **ქარგვის;** **ქსოვის;** **კერვის**

3.7.8. სასკოლო დისციპლინები, სპეციალობების სეგრეგაცია

უნარ-ჩვევების და ნიჭიერების სეგრეგაციასთან ერთად, კვლევაში მონაწილე პედაგოგები აქტიურად ახდენენ სასკოლო დისციპლინებისა და სპეციალობების სეგრეგაციას მოსწავლის სქესის მიხედვით.

რესპონდენტებს მიაჩნიათ, რომ გოგონებს მიდრეკილება აქვთ ჰუმანიტარული საგნებისა და ხელოვნებისკენ, ბიჭებს კი ტექნიკური საგნებისკენ.

გამოკითხული პედაგოგების მოლოდინები მოსწალეების სამომავლო პროფესიების შესახებ განსხვავდება მოსწავლეთა სქესის მიხედვით, ისინი ამბობენ, რომ გოგონები სურთ იხილონ: ხელოვნების, განათლების სფეროებში, ბიჭები კი მომავალ: დიპლომატებად და პოლიტიკოსებად .

4. თავი

ემპირიული კვლევა N2: სასკოლო სახემძღვანელობის შესწავლა გენდერულ ჭრილში

4.1.შესავალი

ნაშრომის დასაწყიში აღვნიშნეთ, რომ 2006 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „გენდერული თანასწორობის კონვენცია“ -რომელიც გულისხმობდა გარკვეულ ქმედითი ნაბიჭების გადადგმას, მათ შორის სკოლის გრიფირებული სახემძღვანელობის გენდერული ანალიზის ჩატარებას. პირველი კვლევა 2006 წელს ჩატარდა, შედეგებმა ცხადყო, რომ შესწავლილი სახემძღვანელობის უმრავლესობა გენდერული სტერეოტიპების შემცველია. 2012 წელს განხორციელდა კვლევა „გენდერული თანასწორობის საკითხი, საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებისას სახელმძღვანელოების გენდერული ანალიზი“ (ხომერიკი & სხვანი, 2012) კვლევამ აჩვენა რომ ამ მიმართულებით 2006 წელთან შედარებით თითქმის არაფერი შეცვლილა. აღნიშნული კვლევა ამტკიცებს, რომ საკანონდებლო დონეზე არსებული ცვლილებების მიუხედავად, სახელმძღვანელოები კვლავ შემცველია გენდერული სტერეოტიპების.

მოცემულ კვლევაში ვსწავლოთ საშუალო და საბაზო საფეხურის, სამოქალაქო განათლების სახემძღვანელოებს. სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოები, საგნის შინაარსიდან და დანიშნულებიდან გამომდინარე, ნაკლები გენდერული სტერეოტიპების შემცველი უნდა იყოს და მეტად უნდა უწყობდეს ხელს გენდერული თანასწორობის იდეის დამკვიდრებას მოსწავლეებში. წინარე კვლევებმა გვიჩვენა, რომ დადებითი ტენდენციის მიუხედავად სამოქალაქო განათლების სახემძღვანელოები, სხვა საგნების სახემძღვანელობის მსგავსად შეიცავს გენდერულად შეფერილ ტესტებსა და ილუსტრაციებს.

4.2.თეორიები და ლიტერატურა

სახემძღვანელოების გენდერული ანალიზისათვის მნიშვნელოვანია გავისხენოთ, თეორიული მიდგომები, რომლებიც საჭიროა ისეთი კომპლექსური საკითხის შესასწავლად, როგორიც გენდერია.

გენდერის მკვლევართა აზრით გენდერული სტერეოტიპების შემცველი სახელმძღვანელოები ასწავლიან ბიჭებს და გოგონებს, რა არის ან არ არის შესაფერისი ერთი თუ მეორე სქესისთვის. შესაფერისი/შეუფერებელი ქცევების დიფერენცირება სქესის მიხედვით, იწვევს გენდერულად სეგრეგირებული დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას ბავშვებში.

სოციალური დასწავლის და კოგნიტური განვითარების თეორიების მიხედვით მოსწავლეები ითვისებენ ისეთ ქცევას, რაც მათი შეფასებით დადებით დამოკიდებულებას დაიმსახურებს. დადებითად შეფასებული ქცევების ხაზგასმა აქტიურად ხდება სკოლის სახემძღვანელოებში, მაგალითად ეს შეიძლება იყოს გამბედაობა ბიჭის შემთხვევაში, მშობლების და მასწავლებლების მორჩილება/დაჯერება გოგოს შემთხვევაში.

სოციალური დასწავლის თეორიის მიხედვით მოსწავლეები იღებენ და ავითარებენ არსებულ გენდერულ მოდელებს, ზედმეტი შეფასებებისა და ეჭვების გარეშე. კოგნიტური განვითარების თეორიის მიხედვით კი ბავშვები უცვლელად კი არ იღებენ გენდერულ მოდელებს, არამედ ცვლიან, მათ საკუთარი შეხედულებებისამებრ. მოსწავლემ შესაძლოა გამოთქვას პროტესტი იმას შესახებ, რაც მოცემულია სახელნძღვანელოებში ან გამჟღავნების გარეშე უკუაგდოს/არ მიიღოს/არ გაითავისოს, სკოლის წიგნებში წარმოდგენილი სტერეოტიპული ინფორმაცია.

ქართულ რეალობაში, მცირეოდენი კვლევები გვაქვს საკითხზე „მოსწავლეთა სოციალიზაცია განათლების კონტექსტში“. მნიშვნელოვანი ნაშრომი ამ მიმართულებით არის „გენდერული განათლება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებით საფეხურზე“ , ნაშრომი რამდენიმე კვლევას მოიცავს (ფოკუს ჯგუფი, სიღრმისეული ინტერვიუ, დოკუმენტების ანალიზი). აღნიშნული კვლევების შედეგად დადგინდა რომ: დაწყებითი კლასის სახელმძღვანელოები, ხელს არ უწყობს გენდერული მგრძნობელობის ჩამოყალიბებას მოსწავლეებში; სახელმძღვანელოები შეიცავენ მკვეთრ

გენდერულ სტერეოტიპებს; რაოდენობრივი კვლევა გვიჩვენებს, რომ მდედრობითი და მამრობითი სახის პერსონაჟები არათანაბრად არიან სახელმძღვანელობში წარმოდგენილნი.

მეორე ნაშრომი ამ საკიხთზე „გენდერული თანასწორობის საკითხი საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებისას“ განიხილავს ისტორიისა და სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოების გენდერულ ანალიზს. ისტორიის სახელმძღვანელოებში ქალთა როლი ნაკლებად ჩანს, სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოებში კი შეიმჩნევა დადებითი ტენდენციები.

აღნიშნული კვლევები ჩატარებულია 2012-2015 წლებში, ამიტომ რელევანტურად მივიჩნიეთ, ნაშრომის ეს ნაწილი მოიცავდეს შედარებით ანალიზზსაც.

4.3.კვლევის მიზანი

კვლევის მიზნია, შევისწავლოთ სასწავლო სახელმძღვანელოებში წარმოდგენილი ვუზუალური და ვერბალური მასალა, დიფერენცირებული გენდერული სოციალიზაციის ხელშეწყობის კუთხით.

4.4.კვლევის ამოცანები

- შევისწავლოთ, როგორ არის წარმოდგენილი სახელმძღვანელოების ილუსტრაციებში, ქალისა და მამაკაცის საქმიანობები და გენდერული როლები;
- შევისწავლოთ, თანაბრად არის თუ არა წარმოდგენილი სახელმძღვანელებში მდედრობითი და მამრობითი სქესის ცნობილი ადამიანები;
- შევისწავლოთ, საკმარისად უზრუნველობს თუ არა აღნიშნული სახელმძღვანელოები მოსწავლეებისათვის გენდერული თანასწორობის საკითხზე თეორიული ცოდნის გადაცემას;

4.5.საკვლევი ჰიპოთეზა

წინასწარი დაშვებით, ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის საბაზო და საშუალო საფეხურის, სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოებიში ასახული ილუსტაციები და ტექსტები, ხელს უწყობს დიფერენცირებულ გენდერული გენდერულ სოციალიზაციას.

4.6.კვლევის მეთოდი

სახელმძღვანელობის გენდერული ანალიზისათვის გამოვიყენეთ, კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდები.

შერჩეულ იქნა გამომცემლობა „სიდის“ და „ბაკულ სულაკაურის გამომცემლობის“, მე-9 და მე-10 კლასის სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოები. აღნიშნულმა სახელმძღვანელოებმა გრიფირება 2012 წელს გაიარა (ტალახაძე და სხვანი, 2012).

შესწავლილ იქნა, სახელმძღვანელოების: მდედრობითი და მამრობითი სქესის ავტორების, წარმოდგენილი ქალი და მამაკაცი პერსონაჟების, ცნობილი ადამიანების, რაოდენობრივი მაჩვენებელი.

თვისებრივი მეთოდი გამოყენებულ იქნა ტექსტებსა და ილუსტაციებში შემდეგი საკითხების შესასწავლად: მამაკაცისა და ქალი საქმიანობები, ჰობი და თვისებები; გენდერული როლები და სტატუსი (ოჯახი, კარიერა, ქმარი, ცოლი და სხვ.); სახემძღვანელობში წარმოდგენილი ტე ქსტური მასალა იძლევა თუ არა თეორიულ ცონდას გენდერული თანასწორობის საკითხებზე.

ზოგადად შეიძლება ითქვს, რომ სახემძღვანელობში არასაკმარისი ყურადღება ეთმობა: გენდერულ თანასწორობას და გენდერული მგრძნობელობის ჩამოყალიბების ხელშეწყობას.

4.7.კვლევის შედეგების განხილვა

4.7.1. სქესთა რეპრეზენტაცია სახელმძღვანელოს ილუსტრაციებში: ქალისა და მამაკაცის საქმიანობა და გენდერული როლები.

სამოქალაქო განათლების მე-9 კლასის სახელმძღვანელო. სამოქალაქო განათლების მე-9 კლასის სახელმძღვანელოს (ტალახაძე და სხვანი, 2012), პირველივე გვერდზე არსებული ილუსტრაცია შეფარვით, გადმოსცემს თანასწორობის იდეას, სახელმძღვანელოს დანარჩენ ნაწილში მსგავში ილუსტაციები გვხდება, მხოლოდ ეთნიკურ, რელიგიურ, რასობრივ ჯგუფელბთან მიმართებაში.

სამოქალაქო განათლების მე-9 კლასის სახელმძღვანელოებში არსებულ ილუსტრაციებზე, ქალის საქმიანობები/პროფესია არის: ექთანი, ექიმი, იურისტი, მზარეული, მასწავლებელი, მკერავი, ხოლო მამაკაცის: ტექნიკოსი, შემკეთებელი, ინჟინერი, იურიტი, მზარეული, პოლიციელი.

ქვეთავების ილუსტაციებში, რომლებიც უმუშევრობის თემას და უმუშევრობით გამოწვეულ უარყოფით შედეგებს განიხილავს, სამუშაოს მაძიელ „სასოწარკვეთილ“ ინდივიდის როლში, მხოლოდ მამაკაცის სურათებია მოცემული.

ქვეთავების ილუსტაციებში, რომელებიც ტრეფიკინგის თემას განიხილავს, ტრეფიკინგის მსხვერპლის როლში ყოველთვის - ქალია, ხოლო დამნაშავის - მამაკაცი.

სპორტულ აქტივობებთან დაკავშირებულ ილუსტაციებში, მხოლოდ მამაკაცების სურათბია მოცემული.

საკითხებთან როგორიც არის: თამბაქოს მოხმარება, ნარკომანია, აზარტული თამაშები, ალკოჰოლიზმი-მხოლოდ მამაკაცების ილუსტაცებია მოცემული.

სამოქალაქო განათლების მე-10 კლასის სახელმძღვანელო. სამოქალაქო განათლების მე-10 კლასის სახელმძღვანელოს (ტალახაძე და სხვანი, 2012), პირველივე გვერდზე არსებული ილუსტრაცია მსგავსად მე-9 კლასის სახემღვანელოსი შეფარვით,

გადმოსცემს თანასწორობის იდეას, სახელმძღვანელოს დანარჩენ ნაწილში გენდერულ თანასწორობათან დაკავშირებული ილუსტაციები თითქმის არ გვხვდება.

სამოქალაქო განათლების მე-9 კლასის სახელმძღვანელოებში არსებულ ილუსტრაციებზე, ქალის საქმიანობები/პროფესია არის: ექიმი, იურისტი, ჟურნალისტი მზარეული, მასწავლებელი, ხოლო მამაკაცის: მეხანძრე, იურიტი, პოლიციელი.

კონფლიქტთა და კრიმინალთან დაკავშირებულ ქვეთავებში, მხოლოდ ბიჭების ილუსტაციებია მოცემული.

4.7.2. სახელმძღვანელოებში წარმოდგენილი ცნობილი ადამიანები

სამოქალაქო განათლების მე-9 კლასის სახელმძღვანელო. სამოქალაქო განათლების მე-9 კლასის სახელმძღვანელოს (ტალახაძე და სხვანი, 2012) ილუსტრაციებზე, წარმოდგენილნი არიან პოლიტიკური მოღვაწეები და ისტორიული პირები, მაგ: უინსტონ ჩერჩილი; მეფე სოლომონ პირველი; აღნიშნულ სახელმძღვანელოში არცერთი მდედრობითი სქესის ცნობილი ადამიანი არ არის წარმოდგენილი.

სამოქალაქო განათლების მე-10 კლასის სახელმძღვანელო. სამოქალაქო განათლების მე-10 კლასის სახელმძღვანელოს (ტალახაძე და სხვანი, 2012) ქვეთავის „სპეციალიზაცია და პროფესიონალიზმი“- ს ილისტრაციებზე, წარმოდგენილნი არიან მხოლოდ მამრობითი სქესის ცნობილი ადამიანები: ჯონი დეპი; მარკ ცუკერბერგი; ბექა გოჩიაშვილი. აღნიშნულ სახელმძღვანელოში მე-9 კლასის სახელმძღვანელოს მსგავსად მდედრობითი სქესის ცნობილი ადამიანი საერთოდ არ არის წარმოდგენილნი.

4.7.3. თეორიული ინფორმაცია გენდერული თანასწორობის საკითხებზე

სამოქალაქო განათლების მე-9 კლასის სახელმძღვანელო. სამოქალაქო განათლების მე-9 კლასის სახელმძღვანელოში (ტალახაძე და სხვანი, 2012), ინფორმაცია ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობის მნიშვლელობის შესახებ მოცემული არ არის,

მხოლოდ ერთ ქვეთავში „ადამიანის უფლებები და მოვალეობები“-ს, ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის განხილვისას არის ნახსენები, რომ მამაკაცები და ქალები თანასწორნი არიან, აქვთ თანაბარი უფლებები და მოვალეობების (ტალახაძე და სხვანი, 2012 გვ. 21).

სამოქალაქო განათლების მე-10 კლასის სახელმძღვანელო. სამოქალაქო განათლების მე-10 კლასის სახელმძღვანელო (ტალახაძე და სხვანი, 2012), თითქმის არ იძლევა ცოდნას გენდერული თანასწორობის საკითხებზე, ერთადერთხელ რუბრიკაში „ეს საინტერესოა“, სუფრაჟისტების ანუ ქალთა არჩევნებში ხმის უფლებისთვის ბრძოლის ისტორიის შესახებ არის საუბარი.

დასკვნა

კვლევამ გამოკვეთა სოციალური როლებისა თეორიის მნიშვნელობა. სოციალური როლების თეორიის მიხედვით გენდერული როლების შესახებ ინდივიდთა რწმენები და წარმოდგენები, განაპირობებს განსხვავებებს ქალებსა და მამაკაცის შორის. პედაგოგთა განწყობები და ქცევები, მნიშვნელოვანი ფაქტორია მოსწავლეებისთვის აითვოსონ ის სოციალური/გენდერული როლები, რომლის შესრულებას მოითხოვს, მათგან საზოგადოება.

პედაგოგებთან ჩატარებული ემპირიული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ:

- პედაგოგები გენდერულ საკითხებთან დაკავშირებულ ტერმინებს ვერ განმარტავენ მკაფიოდ და გააზრებულად. კვლევაში მონაწილე პედაგოგებს აქვთ გენდერული თანასწორობის საკითხების, არასაკმარისი ცოდნა;

- პედაგოგები იდეალური ქალი და მამაკაცი პედაგოგის აღწერისას, იმ თვისებებს ასახელებენ, რომელებსაც ჩვეულებრივ სოციუმი მიაწერს ერთ თუ მეორე სქესს. იდეალური ქალი პედაგოგის აღწერისას ექსპრესიულ, ხოლო იდეალური მამაკაცი პედაგოგის აღწერისას ინსტუმენტალურ თვისებებს ასახელებენ. თვისებებისა და ქცევების მსგავსი სეგრეგაციის გადაცემა მოსწავლეებსთვის, ხელს უწყობს დიფერენცირებულ გენდერულ სოციალიზაციას;

- დამტკიცდა, რომ კვლევაში მონაწილე მასწავლებელთა მოსაზრებები ბიჭებისა და გოგონების დადებითი და უარყოფითი თვისებებისა და ქცევის შესახებ, ეფუძვნება საზოგადოებაში გაბატონებულ სტერეოტიპებსა და კულტურულ ნორმებს და ხელს უწყობს ბიჭების აქტიურ, ხოლო გოგონების პასიურ გენდერულ როლებთან ინტეგრაციას.

- დამტკიცდა, რომ კვლევაში მონაწილე მასწავლებელთა მიერ გამოყენებულ დასჯისა და წახალისების მეთოდებს განსაზღვრავს მოსწავლეთა სქესი;

- კვლევაში მონაწილე პედაგოგები, სქესის მიხედვით ახდენენ საგანთა/სასწავლო დისციპლინათა სეგრეგაციას; კერძოდ თვლიან, რომ ბიჭებს ტექნიკური, ხოლო გოგონებს ჰუმანიტარული მეცნიერებებისკენ აქვთ მიდრეკილება. პედაგოგები სასწავლო დისციპლინათა მსგავს სეგრეგაციაში, პრობლემას ვერ ხედავენ, ამიტომ არც არსებული ფონის შეცვლას ცდილობენ;

- კვლევაში მონაწილე მასწავლებელთა შეხედულებებს ბავშვების შესაძლებლობებს, ნიჭის და უნარების შესახებ, განსაზღვრავს მოსწავლეთა სქესი; პედაგოგებს, ბიჭები გოგონებზე ნიჭიერებად და უნარიანებად მიაჩნიათ;

- ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ ახალგაზრდა პედაგოგთა განწყობები და ქცევები ნაკლები გენდერულ სტერეოტიპების შემცველი უნდა იყოს, არ დამტკიცა. კვლევის შედეგების ანალიზმა გვიჩვენა, რომ გენდერულ საკითხებთან მიმართებაში ახალგაზრდა პედაგოგები, საშუალოასაკიან და ხანში შესული პედგოგების მსგავს კონსევატიულობას ავლენენ;

სამოქალაქო განათლების, სასწავლო სახელმძღვანელოების გენდერული ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ:

- მიუხედავად დადებითი ტენდენციებისა, ილუსტაციების შედგენისას სიღრმისეულად არ არის გაათვალისწინებული გენდერული თანასწორობის იდეა, რაც გამოიხატება იმაში რომ პროფესიებისა და საქმიანობების რეპრეზენტაციისას, ქალები და მამაკაცები წარმოდგენილნი არიან, სტერეოტიპულად, მათი სქესისთვის შესაფერის როლებში; საკითხთან არსებულ ილუსტაციებში, როგორებიცაა: სპორტი, ჯანსაღი ცხოვრების წესი, კრიმინალი,

კონფლიქტები, ნარკომანია, თამბაქოს მოხმარება, ალკოჰოლიზმი, ქალი/გოგონა პერსონაჟები არ არის მოცებული, რაც გვიქმნის შთაბეჭდილებას, რომ მსგავსი პრობლემებისა და გამოწვევების წინაშე, მხოლოდ მამაკაცები დგანან;

- სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოებში მოცემული ილუსტაციების და ტექსტების გენდერულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ცნობილი ადამიანების წარმოდგენისას არ შეიმჩნევა, დედებითი ტენდენცია გენდერული თანასწორობის კუთხით, კერძოდ აღნიშნული სახელმძღვანელოები არ ახდენს წარმატებული ქალების ისტორიების გაზიარებას მოსწავლეებისთვის, მაშინ როდესაც აქტიურად ხდება წარმატებული მამაკაცების ისტორიების გაზიარება;

- აღნიშნულ სახელმძღვანელოებში მოცემული ტექსტების გენდერულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ სახელმძღვანელოები ვერ უზრუნველჰყოფენ მოსწავლეებისთვის გენდერული თანასწორობის საკმარისი საკითხებზე ინფორმაციის მიწოდებას;

დასკვნის სახით შეიძლება თქვას, რომ გამოკითხულ პედაგოგთა განწყობები და ქცევითი სტრატეგიები სხვადასხვა სქესის ბავშვების მიმართ განსხვავდება და ხელს უწყობს: დიფერენცირებულ გენდერულ სოციალიზაციას და სოციალიზაციის პროცესში გოგონების პასიურ, ხოლო ბიჭების აქტიურ გენდერულ როლებთან ინტეგრაციას. სასწავლო სახელმძღვანელოების გენდერულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ სახელმძღვანელოებში წარმოდგენილი ვიზუალური და ვერბალური მასალა, დიფერენცირებულ გენდერული სოციალიზაციის უწყობს ხელს და ნაკლებად იძლევა ცოდნას გენდერული თანასწორობის საკუთხებზე. ყველაფერ ზემოთ ჩამოთვლის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ სასკოლო საგანმანათლებლი სფერო ნაკლებ ყურადღებას უთმობს გენდერული თანასწორობის საკითხებსა და ვერ უზრუნველჰყოფს გოგონებისა და ბიჭებისათვის გენდერული სოციალიზაციის პროცესის დროს თასწორუფლებიანი გარემოს შექმნას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბერკი, ლ. (2010).ბავშვის განვითარება

2. ბერეკაშვილი, ნ. (2012). გენდერული სოციალიზაციის ფაქტორები განათლების კონტექსტში (Doctoral dissertation, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი).

3. Bandura, A., & Walters, R. H. (1977). Social learning theory(Vol. 1). Englewood Cliffs, NJ: Prentice-hall.

4. Beitchman, J. H., Zucker, K. J., Hood, J. E., DaCosta, G. A., Akman, D., & Cassavia, E. (1992). A review of the long-term effects of child sexual abuse. Child abuse & neglect, 16(1), 101-118.

5. Bem, S. L. (1981). Gender schema theory: A cognitive account of sex typing. Psychological review, 88(4), 354.

6. Bigler, R. S. (1995). The role of classification skill in moderating environmental influences on children's gender stereotyping: A study of the functional use of gender in the classroom. Child Development, 66(4), 1072-1087.

7. Bigler, R., Hayes, A. R., & Hamilton, V. (2013). The role of schools in the early socialization of gender differences. Encyclopedia on early childhood development.

8. Evans, M. A., Whigham, M., & Wang, M. C. (1995). The effect of a role model project upon the attitudes of ninth-grade science students. Journal of Research in Science Teaching, 32(2), 195-204.

9. Calhoun, C. light, d. i Keller, s.(1994). Sociology.

10. Charles Horton Cooley, Human Nature and the Social Order. New York: Scribner's, 1902, pp. 179-185.

11. Grusec, J. E., & Hastings, P. D. (Eds.). (2014). Handbook of socialization: Theory and research. Guilford Publications.561-581

12. Kohlberg, L. (1981). Essays on moral development (Vol. 1, pp. 409-412). San Francisco: Harper & Row.

13. Leaper, C., & Friedman, C. K. (2007). The socialization of gender. Handbook of socialization: Theory and research, 561-587.

14. Millett, K. (2016). Sexual politics. Columbia University Press.

15. Mead, G. H. (1934). Mind. Self, and Society from the Standpoint of a Social Behaviorist.: University of Chicago Press: Chicago.

16. Mlama.P Marema D. Herbert M. Lornah M. Margaret W. Rose W. Gender Responsive Pedagogy. 2002

17. Nicholson, L. (1994). Interpreting gender. Signs: Journal of Women in Culture and Society, 20(1), 79-105.

18. Shepardson, D. P., & Pizzini, E. L. (1992). Gender bias in female elementary teachers' perceptions of the scientific ability of students. Science Education.

19. Stoller, R. J. (1994). Sex and gender: The development of masculinity and femininity. Karnac books.

20. Stetsenko, A., Little, T. D., Gordeeva, T., Grasshof, M., & Oettingen, G. (2000). Gender effects in children's Sullivan, H. S. (2013). The interpersonal theory of psychiatry. Routledge.

21. beliefs about school performance: A cross-cultural study. Child development, 71(2), 517-527.

22. Rubin, G. (1975). The traffic in women: Notes on the" political economy" of sex.

23. Haslanger, S. (1995). Ontology and social construction. Philosophical Topics, 23(2), 95-125.